ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის ოქმი
№–3

2021 წელი, 24 დეკემბერი, 18:00 სთ. ქ. თბილისი;
თავისუფლების მოედანი N2

სხდომას ესწრებოდნენ:
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ლევან ჟორჟოლიანი (თავმჯდომარე)
გიორგი ჩაკვეტაძე
ავთანდილ ცინცაძე
ზურაბ აბაშიძე
აკაკი ალადაშვილი
ზაზა თავაძე
გიორგი ონიანი

მოწვეული პირები:

- გაიოზ თალაკვაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი;
- ლევან მიქავა - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
- გიორგი ეზანოიძე- ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი"-ს ხელმძღვანელის მოადგილე;
- ვახტანგ ლომჯარია - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსი;
- ვიქტორ წილოსანი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსი;
- ირაკლი თავართქილაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსი;
- სერგო ბირკაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსი.

სხდომის თავმჯდომარე:
ლევან ჟორჟოლიანი
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის
კომისიის თავმჯდომარე

## დღის წესრიგი

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს, ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდსა და აზიის განვითარების ბანკს (ADB) შორის „საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროექტი თანაბარი განვითარებისთვის" შესახებ პროექტის ხელშეკრულების ხელმოსაწერად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან თანხმობის მიღების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

3. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში ზოგიერთი პირისათვის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელის გადახდაზე შეღავათის დადგენის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

4. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროდ განსაზღვრული ავტობუსებით (M2 კატეგორია) მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №8-31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

7. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორიის და მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული M2 კატეგორიის) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა", საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა" და საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები" მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების/ფასის, აგრეთვე რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას და საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები" მგზავრთა გადაყვანისას ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

8. „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

9. „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელებიდან გამომდინარე, მცირე და საშუალო მეწარმეთა ხელშეწყობის მიზნით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების მიზნით, სარგებლობის უფლებით გადაცემული უძრავი ქონების მოსარგებლეთა მიმართ ზოგიერთი ხელშემწყობი ღონისძიების განხორციელების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

10. ,,საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელებიდან გამომდინარე, მცირე და საშუალო მეწარმეთა ხელშეწყობის მიზნით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ღია კაფეს მოწყობის მიზნით გადაცემული მიწის ნაკვეთების მოიჯარეთა მიმართ ზოგიერთი ხელშემწყობი ღონისძიების განხორციელების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

11. „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელებიდან გამომდინარე, მცირე და საშუალო მეწარმეთა ხელშეწყობის მიზნით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ღია კაფეს მოწყობის მიზნით გადაცემული მიწის ნაკვეთების მოიჯარეთა მიმართ ზოგიერთი ხელშემწყობი ღონისძიების განხორციელების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

12. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოსმენა;

13. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსის მოსმენა;

14. ფრაქცია „თბილისი საქართველოსთვის“ წერილი;

15. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ლელო - პარტნიორობა თბილისისთვის“ რეგისტრაციის თაობაზე“ საკითხი;

16. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის – ლევან დოლიძის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ საკითხი;

17. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრის შესახებ საკითხი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის **საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ლევან მიქავამ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, **სხდომის დღის წესრიგით - რიგით პირველ საკითხად** განსაზღვრული, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რის მიხედვითაც, **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტის მოცულობა განისაზღვრა 1 305 418,2 ათასი ლარით,**რაც 2021 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებით გაზრდილია- 255 115,7 ათასი ლარით, ხოლო, 2022 წლის პირველად წარდგენილ ბიუჯეტის პროექტთან შედარებით გაზრდილია - 105 501,2 ათასი ლარით.

**როგორც მომხსენებელმა განმარტა, წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტის მოცულობის ზემომითითებულ მაჩვენებლებთან შედარებით ზრდადობა გამოიწვეულ იქნა,** საკუთარი შემოსულობების დაზუსტების, საქართველოს პარლამენტში „საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის" მესამე წარდგენის და საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიმდინარე წლის 3 დეკემბერს მიღებული შესაბამისი წერილის გათვალისწინებით, რითაც იზრდება:

- დამატებული ღირებულების გადასახადი 5 501,2 ათასი ლარით;
- სხვა შემოსავლები- 30 000,0 ათასი ლარით;
- სახელმწიფო ბიუჯეტიდან კაპიტალური სპეციალური ტრანსფერის სახით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს დამატებით გამოეყოფა 50 000,0 ათასი ლარი;
- არაფინანსური აქტივების კლებიდან მისაღები შემოსავლები იზრდება 20 000,0 ათასი ლარით;
- დაზუსტდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან სხვა კაპიტალური გრანტების სახით გამოყოფილი სესხის მომსახურების ფარგლებში ჭკვიანი სატრანსპორტო სისტემის (KFW) დანერგვისთვის დამატებული ღირებულების გადასახადის დასაფარად მისაღები შემოსავლები - 3,500,0 ათასი ლარით, თბილისის მეტროს პროექტის (EBRD) სესხის მომსახურების ფარგლებში დამატებული ღირებულების გადასახადის შემცირების ხარჯზე.

**ლევან მიქავამ დასძინა, რომ** გაზრდილი ფინანსური რესურსისა და პროგრამის - **„მეტის სიცოცხლე ყველა უბანში"** გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის **პროექტით ასიგნებები მიიმართება შემდეგ პრიორიტეტებზე:**

- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა - აღდგენა - 262,892.5 ათასი ლარი;
- ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლოატაცია და ავარიული შენობების გამაგრება/ჩანაცვლება - 259 782,6 ათასი ლარი;
- ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება - 167 317,1 ათასი ლარი;
- ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა - 1 845,0 ათასი ლარი;
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება - 41 115,2 ათასი ლარი;
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 176 777,0 ათასი ლარი;

- განათლება - 208 486,9 ათასი ლარი;
- კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა - 48 805,5 ათასი ლარი;
- საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 5 217,8 ათასი ლარი;
- ქ. თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - 133 178,9 ათასი ლარი;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 230 318,2 ათასი ლარის ოდენობით, რაც 2021 წლის დამტკიცებულ მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 210 158,9 ათასი ლარით, ხოლო, ბიუჯეტის პროექტის პირველ ვერსიასთან შედარებით გაზრდილია 85 501,2 ათასი ლარით.

ლევან მიქავას მითითებით, **პროექტით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის ხარჯები განსაზღვრულია - 982 943,0 ათასი ლარით,** მათ შორის: შრომის ანაზღაურება 87 417,2 ათასი ლარით, საქონელი და მომსახურების მუხლით გათვალისწინებულია 161 383,4 ათასი ლარი, პროცენტი 11 079,9 ათასი ლარი, სუბსიდიები 321 742,2 ათასი ლარი, გრანტები 485,7 ათასილარი, სოციალური უზრუნველყოფა 168 829.9 ათასილარი, სხვა ხარჯები 232 005,2 ათასი ლარით, ამასთან, საოპერაციო სალდო განისაზღვრა 247 375,2 ათასი ლარით, ფინანსური აქტივების ცვლილების მაჩვენებელი უცვლელია და განსაზღვრულია (100,0) ათასი ლარით, ხოლო, ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა 20 530,6 ათას ლარით, რაც ნიშნავს რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი არის პროფიციტური.

**მომხსენებელის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის ასიგნებები შეადგენს 1 305 418,2 ათას ლარს,**რაც აღემატება 2021 წლის დამტკიცებული ბიუჯეტისა და 2022 წლის ბიუჯეტის პროექტის თავდაპირველი ვერსიის მაჩვენებლებს, **მათ შორის:**

- **სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა - აღდგენა** - 262 892,5 ათასი ლარით, მათშორის: გზების მშენებლობა და აღდგენა იზრდება – 2 500,0 ათასი ლარით, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები– 9 500,0 ათასი ლარით (მათ შორის ჭკვიანი სატრანსპორტო სისტემის (KFW) დაწერგვისთვის დამატებული ღირებულების გადასახადელად 3 500,0 ათასი ლარი თბილისის მეტროს პროექტის (EBRD) სესხის მომსახურების ფარგლებში დამატებული ღირებულების გადასახადის შემცირების ხარჯზე), საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდია– 29 729,3 ათასი ლარით;
- **ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება/ჩანაცვლება** - 259 782,6 ათასი ლარით, მათშორის: საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია იზრდება – 14 000,0 ათასი ლარით, გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია– 6 000,0 ათასი ლარით, ქალაქის განვითარების ხელშეწყობა - 3 720,0 ათასი ლარით;
- **ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება დ აგაუმჯობესება** - 167 317,1 ათასი ლარით, მათშორის: გამწვანების ღონისძიებები იზრდება – 28 500,0 ათასი ლარით;
- **ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა** - 1 845.0 ათასი ლარით;
- **ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება** - 41 115.2 ათასი ლარი, აღნიშნული პრიორიტეტის ფარგლებში და გადანაწილების ხარჯზე გაიზარდა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა კრწანისის რაიონში– 1 000,0 ათასი ლარით;

- **ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა** - 176 777,0 ათასი ლარით, მათშორის: სოციალური მზრუნველობის სააგენტოს ხელშეწყობა იზრდება – 290,0 ათასილარით;
- **განათლება** - 208 486,9 ათასი ლარით, მათ შორის: სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა იზრდება – 5 000,0 ათასი ლარით, საზოგადოები სგანათლებისა და ინფორმირების ხელშეწყობა – 800,0 ათასი ლარით;
- **კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა** - 48 805,5 ათასი ლარით, მათ შორის: სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობა იზრდება – 5 000,0 ათასი ლარით;
- **საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება** - 5 217,8 ათასი ლარით;
- **ქ. თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები** - 133 178,9 ათასი ლარით, მათ შორის: მერიის ადმინისტრაცია იზრდება – 3 000,0 ათასი ლარით, მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური – 141,9 ათასი ლარით, უსაფრთხოების საქალაქო სამსახური– 620,0 ათასი ლარით, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო – 200,0 ათასი ლარით, გლდანის რაიონის გამგეობა– 11,0 ათასი ლარი, ნაძალადევის რაიონის გამგეობა– 11,0 ათასილარი, დიდუბის რაიონის გამგეობა – 5,5 ათასი ლარი, ჩუღურეთის რაიონის გამგეობა– 5,5 ათასილარი, ვაკის რაიონის გამგეობა– 11,0 ათასი ლარი, საბურთალოს რაიონის გამგეობა – 8,2 ათასი ლარი, ისნის რაიონის გამგეობა – 8,2 ათასი ლარი, სამგორის რაიონის გამგეობა– 13,8 ათასი ლარი, კრწანისის რაიონის გამგეობა – 5,5 ათასი ლარი, მთაწმინდის რაიონის გამგეობა – 11,0 ათასი ლარი. ასევე, გაიზარდა ქ.თბილისის საკრებულოს ასიგნებები – 200,0 ათასი ლარით.

**მომხსენებელმა დასძინა, რომ** ბიუჯეტის პროექტს ახლავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022-2025 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი და ინფორმაციული ხასიათის დანართები, ამასთან, მიუთითა, რომ 2019 წლიდან დასახული იქნა გენდერულად ორიენტირებული მუნიციპალური ბიუჯეტის ფორმირება, რამაც ხელი შეუწყო გენდერული საკითხების ინტეგრირებას ბიუჯეტით გათვალისწინებულ პროგრამებში/ქვეპროგრამებში, შესაბამისად, წარმოდგენილ პროექტში გამოყენებულია თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების მექანიზმი, რაც გულისხმობს საბიუჯეტო პროცესში გენდერული ასპექტების ჩართვას. ასევე, წარმოდგენილ ბიუჯეტის პროექტის გადამუშავებულ ვერსიაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომიტეტების, ფრაქციების და დამოუკიდებელი წევრების მიერ პროექტთან დაკავშირებით გამოთქმული შენიშვნების/რეკომენდაციების უმეტესი ნაწილი იქნა გათვალისწინებული.

ლევამ მიქავამ ასევე აღნიშნა, რომ **ბიუჯეტის პროექტი ასახავს ბავშვთა უფლებების შესახებ არსებული პოლიტიკის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების დასაფინანსებლად საჭირო რესურსებს, შესაბამის პასუხისმგებელ საბიუჯეტო ორგანიზაციის პროგრამულ კოდში.**

**აზრი გამოთქვეს:**

**კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის მიმართ არსებულ შენიშვნებზე** და აღნიშნა, რომ მიზანშეწონილია, დადგენილების პროექტის მე-2 მუხლით ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N71-134 დადგენილება, აღნიშნულიდან გამომდინარე, დადგენილების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში უნდა მიეთითოს „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი, ხოლო, დადგენილების პროექტით განსაზღვრულმა მე-2 მუხლმა, რითაც გათვალისწინებულია დადგენილების პროექტის ამოქმედების ვადა, უნდა გადაინაცვლოს მე-3 მუხლად.

საკითხთან დაკავშირებით, შეკითხვების ეტაპზე გადასვლამდე, კომისიის თავმჯდომარემ ლევან ჟორჟოლიანმა, დედაქალაქის 2022 წლის,დაზუსტებული სახით წარმოდგენილი ბიუჯეტი, რომლის ფინანსური მაჩვენებლის ოდენობა განისაზღვრა – 1 305 418,2 ათასი ლარით, შეაფასა როგორც უპრეცენდენტო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტიტეტის წლიური საბიუჯეტო სახსრების ისტორიაში. ამასთან, კომისიის თავმჯდომარემ ინიციატივით მიმართა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს, საკითხთან დაკავშირებით გამოთქმულ იქნას შეკითხვები ერთობლივად, ხოლო, საკითხის მომხსენებელი დასმულ კითხვებთან დაკავშირებით მათ პასუხს გასცემს თანმიმდევრობით.

საკითხის მომხსენებელს, ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილემ - გიორგი ონიანმა მიმართა შემდეგი კითხვით: რამდენად მიზანშეწონილია, „აზიის განვითარების ბანკი“–დან (ADB) დამატებით აღებულ იქნას ახალი სასესხო ვალდებულება, იმ გარემოების გათვალისწინებით, დედაქალაქს უკვე გააჩნია შესაბამისი სასესხო ვალდებულებანი, რომელთა დაფარვა წარმოადგენს ახალ თაობათა ვალდებულებას, იმ ღონისძიების გათვალისწინებითაც, რომ ახალი სასესხო ვალდებულების ფარგლებში მიღებული ფინანსური სახსრები არ არის განსაზღვრული დედაქალაქის მაცხოვრებელთა, განსაკუთრებით შეჭირვებული ფენის სასარგებლოდ, სოციალური მიმართულების პროგრამების დასაფინანსებლად.

დასმულ კითხვებთან დაკავშირებით, ლევან მიქავამ განმარტა, რომ მუნიციპალიტეტის მონაწილეობით ახალი სესხის აღების შესახებ მიმდინარე პროცესი, სადაც ასევე ჩართულია სახელმწიფო და შესაბამისი სამთავრობო ორგანიზაციები/ფონდები, მსგავსად, სხვა აღებული სესხებისა, რასაკვირველია წარმოადგენს დედაქალაქის ნაწილში, საბიუჯეტო ვალდებულებას, თუმცა, იმ მასშტაბური პროექტების, რომელთაც უნდა მოხმარდეს ახალი სესხი (30 (ოცდაათი) მილიონი ლარის ოდენობით), დამოუკიდებლად, ბიუჯეტით ერთდროულად განხორციელება, სცილდება დედაქალაქის ფინანსურ შესაძლებლობებს, ამასთან, სახეზეა, სხვა მნიშვნელოვანი განსახორციელებელი პრიორიტეტებიც.

ლევან მიქავამ სესხიდან, სოციალური პროგრამებისთვის თანხის გამოყოფის კითხვასთან დაკავშირებით, განმარტა, რომ ვინაიდან, დაზუსტებული სახით წარმოდგენილი ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო სოციალური პროგრამების გაზრდილი ოდენობით წარმოდგენა, მათ შორის, უფასო სასადილოების მომსახურების დაფინანსების პროგრამა, ასევე, შეიქმნა ისეთი ახალი პროგრამები, როგორებიცაა: „სოციალურად დაუცველი საპენსიო ასაკის პირებისათვის მედიკამენტების დაფინანსება“, უსახლკარო ოჯახებისათვის საცხოვრებელი ფართის შეძენა“ და სხვ., მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, სასესხო ვალდებულების ფარგლებში მისაღები თანხა გამიზნულიყო სხვა პრიორიტეტების/პროექტების დაფინანსებისათვის, ასევე, დასძინა,

რომ აღნიშნულ პროექტებთან დაკავშირებით, ამ ეტაპზე მიმდინარეობს დამატებითი კვლევები.

გიორგი ონიანმა აღნიშნა, რომ სოციალური მიმართულების ნაწილში, „უფასო სასადილოების მომსახურების“ პროგრამისათვის თანხების საკმარისი თანხით დაფინანსებას წარმოდგენილი დაზუსტებული ბიუჯეტი ვერ უზრუნველყოფს, შესაბამისად, მიზანშეწონილად მიიჩნია აღნიშნული პროგრამის ასიგნების მომატება, განსაზღვრული დღიური ულუფის ღირებულების ერთეულის გაზრდა და მშრალი მენიუს შემუშავება, რათა, დედაქალაქის ყველაზე მეტად შეჭირვებული მოსახლეობისათვისუზრუნველყოფილ იქნა ღირსეული უფასო საკვების მიწოდება.

ლევან მიქავამ მითითებულ საკითხთან დაკავშირებით განმარტა, რომ „უფასო სასადილოების მომსახურების“ ქვეპროგრამისათვის, წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტის ფარგლებში განსაზღვრული, საბიუჯეტო სახსრების ოდენობა გაზრდილია მიმდინარე წლის მაჩვენებელთან შედარებით, ხოლო, აღნიშნულის უფრო მეტად გაზრდა წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის ერთობლივი მსჯელობის/გადაწყვეტილების საგანს.

ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა, რომ უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს, დედაქალაქის შეჭირვებული მოსახლეობისათვის„უფასო სასადილოებით მომსახურების“ პროგრამის ფარგლებში დახმარების გაწევა, რომლისთვის, მართალია, საკმარისი საბიუჯეტო სახსრების გამოყოფის საკითხი არის ამოუწურვადი სფერო, თუმცა, წარმოდგენილი პროექტის ფარგლებში დაახლოებით 6 (ექვსი) მილიონით იქნა უზრუნველყოფილი პროგრამის ასიგნებათა ზრდა და ასევე, ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ დედაქალაქის ახალმა ბიუჯეტმა წარმოადგინა ახალი სოციალური პროგრამები, როგორებიცაა, „სოციალურად დაუცველი საპენსიო ასაკის პირებისათვის მედიკამენტების დაფინანსება“, „უსახლკარო ოჯახებისათვის საცხოვრებელი ფართის შეძენა“და „ავარიული სახლების ჩანაცვლების პროგრამა“, რომელთა დასაფინანსებლად გამოყოფილ იქნა გარკვეული სახსრები და მიემართება შესაბამისი საჭიროების მქონე მოსახლეობას.

საკრებულოს წევრმა ცოტნე კობერიძემ დაინტერესება გამოთქვა, კოვიდ– 19–ით გამოწვეული ეკონომიკური და სოციალური ვითარების გათვალისწინებით, რა სახის ეფექტური ფინანსური ნაბიჯები იქნა გადადგმული, გამომწვევათა საპასუხოდ, ამასთან, დაინტერესება გამოხატა, ისეთ სფეროებზე რომელთა დაკავშირებითაც ვერ შესრულდა ბიუჯეტით გათვალისწინებული გეგმები და რა იყო მათი მიზეზი, ასევე, ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ პროგრამების შესახებ, მათ შორის, ელექტრონული მუსიკის სფეროს წარმომადგენლების დაფინანსების საკითხის მიზნობრიობასთან დაკავშირებით.

ცოტნე კობერიძის მიერ დასმულ კითხვასთან დაკავშირებით, ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსმა - ვახტანგ ლომჯარიამ განმარტა, რომ „ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში დაგეგმილია ისეთი ღონისძიებების დაფინანსება როგორებიცაა: „ბიზნესის სტიმულირება“ – მუნიციპალიტეტის მასშტაბით მდგრადი ეკონომიკური განვითარების მხარდაჭერის, თბილისში მოქმედი ან

რეგისტრირებული სამეწარმეო სუბიექტების საქმიანობის ხელშეწყობის და სხვათა მიზნით, „თბილისში, ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის კვლევების, სტრატეგიების და პროექტების განხორციელება“ და სხვა. ამასთან, დასძინა, რომ პროგრამის ფარგლებშიმიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, იმ ელექტრონული მუსიკის სფეროში მოღვაწე იურიდიული თუ ფიზიკური პირებისათვი დახმარების გაწევა ფინანსური სახით, შესაბამისი ოდენობებით, რომელთა საქმიანობა შეფერხდა/შეჩერდა კოვიდ-რეგულაციების გამო, მატერიალური ზიანის გარკვეულწილად შემსუბუქების მიზნით.

ამასთან, ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსმა - ვახტანგ ლომჯარიამ მზაობა აღუთქვა სხდომაზე დამსწრე პირებს ურთიერთთანამშრომლობისა, საქალაქო სამსახურის უფლებამოსილების ფარგლებში მიმდინარე/დაგეგმილი ან ახალი პროგრამებისა თუ პროექტების მიმართულებით.

გადაწყვიტეს:

კომისიის წევრებმა – ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი ონიანმა და ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ ზაზა თავაძემ მხარი არ დაუჭირეს დადგენილების პროექტის მიღებას,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსმა ვახტანგ ლომჯარიამ და გიორგი ებანოიძემ - ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი“-ს ხელმძღვანელის მოადგილემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგით - რიგით მე-2 საკითხად განსაზღვრული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს, ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდსა და აზიის განვითარების ბანკს (ADB) შორის „საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროექტი თანაბარი განვითარებისთვის“ შესახებ პროექტის ხელშეკრულების ხელმოსაწერადქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ქალაქ თბილისის მთავრობისათვის თანხმობის მიცემას.

ვახტანგ ლომჯარიას განმარტებით,საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს (ADB) შორის ,,საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროექტი თანაბარი განვითარებისთვის“ ფარგლებში, 2021 წლის 10 დეკემბერს ხელი მოეწერა სასესხო ხელშეკრულებას 101 000 000 (ას ერთი მილიონი) ევროს ოდენობით,რაც მიზნად ისახავს საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესებასა და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობას საქართველოს მასშტაბით, მათ შორის თბილისში, შემდეგი მიმართულებით - ინკლუზიური და კლიმატის ცვლილებისადმი მედეგი ურბანული ინფრასტრუქტურისა და მომსახურების სფეროების,

ასევე, საქართველოს ტურისტულ კლასტერებში ხელმისაწვდომობის, შეკავშირებულობის, მობილობის გაუმჯობესება და მდგრადი ურბანული და რეგიონალური განვითარებისათვის ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება.

ვახტანგ ლომჯარიამ განმარტა, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის ოდენობა მოხმარდება პროექტით იდენტიფიცირებული ქვეპროექტების დაფინანსებას, მათ შორის, თბილისის მუნიციპალიტეტში, ეს უკანასკნელი კი, ქალაქ თბილისის მერიისა და ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდის მეშვეობით,პასუხისმგებელი იქნება პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულებაზე, რომლებიც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს, ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდსა და აზიის განვითარების ბანკს (ADB) შორის განისაზღვრება პროექტის ხელშეკრულების საფუძველზე, აღნიშნულიდანგამომდინარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია აღნიშნული საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:
კომისიის თავმჯდომარემ ლევან ჟორჟოლიანმა ისაუბრა პროექტის მიმართ არსებული შემდეგი შენიშვნების შესახებ: მიზანშეწონილია, განკარგულების პროექტის პრეამბულაში სწორი ფორმით მიეთითოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 21 დეკემბრის განკარგულება, სწორი ფორმით ჩამოყალიბდეს პროექტის სათაური, გაიმართოს წარმოდგენილი განკარგულების პროექტის პირველი მუხლის ფორმულირება და ტექნიკურად გაიმართოს პროექტის, მე-2 მუხლი, შესაბამისირედაქციით ჩამოყალიბების მიზნით.

ლევან ჟორჟოლიანმა ისაუბრა წარმოდგენილი საკითხის პროცედურული და სამართლებრივი საკითხების/საფუძვლების შესახებ და განმარტა, რომ პროექტი ითვალისწინებს, საქართველოს ორგანული კანონის „თვითმმართველობის კოდექსი“ შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ, ქალაქ თბილისის საკრებულოსთან შეთანხმებას - მონაწილეობა იქნას მიღებული უმნიშვნელოვანეს პროცესში, რაც გულისხმობს,საქართველოსა და „აზიის განვითარების ბანკს“ (ADB) შორის „საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროექტი თანაბარი განვითარებისთვის“ ფარგლებში, სესხის აღებისათვის მოლაპარაკებების წარმოებას, საიდანაც, განსაზღვრული ოდენობა (30 (ოცდაათი) მილიონი) მოხმარდება მუნიციპალიტეტში სასიცოცხლო პროექტების დაფინანსება, ასევე დასძინა, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ საკითხზე თანხმობის გაცემის შემთხვევაში, მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ მომზადდება ქვესესხის აღების შესახებ პროექტი, საკრებულოსგან კვლავ შეთანხმების და პროცესის შემდგომ ეტაპზე გასვლის მიზნით.

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი ონიანმა კითხვით მიმართა მომხსენებლებს რამდენად შეძლებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი გაუმკლავდეს სასესხო ვალდებულებების შესრულებას, ან რამდენად რელევანტურია აღებულ იქნას გრძელვადიანი სესხი განსაზღვრული პროგრამების შესრულებასთან დაკავშირებით. ასევე მიზანშეწონილად მიიჩნია, სესხის გადახდა მუნიციპალიტეტის მიერ უზრუნველყოფილ იქნას თანამონაწილეობით.

დასმულ კითხვასთან დაკავშირებით ვახტანგ ლომჯარიამ განმარტა, რომ სესხის ფარგლებში დასაფინანსებელი ღონისძიებები წარმოადგენს დედაქალაქისათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინტერესების სფეროს, მათ შორის, მეტრო - სადგურების რეაბილიტაციისა და შშპ პირების საჭიროებებთან ადაპტაციის საკითხს, ასევე დასძინა, რომ აღებული სესხიდან მხოლოდ 30 (ოცდაათი) მილიონი იქნება მოზიდული ქალაქ თბილისისათვის, ამასთან დასძინა, რომ სესხის პროცენტი არის საკმაოდ დაბალი და წარმოდგენილია შეღავათიანი პირობებით.

დასმულ საკითხებთან დაკავშირებით თხრობა განაგრძო გიორგი ებანოიძემ ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი"-ს ხელმძღვანელის მოადგილემ და განმარტა, რომ აზიის განვითარების ბანკიდან სესხი თავდაპირველად აღებულ იქნა 2018 წელს, აღნიშნულთან დაკავშირებით, ჩატარებულ იქნა კვლევა და გამოვლინდა გარკვეული პრიორიტეტები/საჭიროებები, რომელთა დაფინანსებასთან დაკავშირებით, აზიის განვითარების ბანკმა თავად გამოთქვა მზაობა, თუმცა, შემდეგი პირობებით: აუცილებელია რომ გაცემული სესხი მოხმარდეს ურბანულ განვითარებას, იმ საჭიროებების დაფინანსებას, რაც დადასტურებელია ოფიციალური კვლევევით და არსებობდეს თანამონაწილეობა, რაც დამახასიათებელია ისედაც სესხებისათვის და გულისხმობს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ საშემოსავლო გადასახადების ნაწილში თანაგადახდას, ამასთან, დააზუსტა, რომ თანამონაწილეობა ქალაქ თბილისისა და სახელმწიფოს მონაწილეობით იქნება სულ მცირე 20%–ის ნაწილში.

გიორგი ებანოიძემ დააზუსტა, რომსესხის გაცემის მიზნობრიობის საფუძველს წარმოადგენს, აზიის განვითარების ბანკის მიერ ჩატარებული კვლევა, რითაც გამოვლინდა დედაქალაქის წინაშე არსებული საჭიროებები, მათ შორის, მტკვრის გაწმენდითი სამუშაობის ჩატარება როგორც ფიზიკური ასევე ქიმიური დამაბინძურებლებისაგან, დიღმის ჭალების რეაბილიტაცია, პარკების მშენებლობა და სხვა მნიშვნელოვანი საჭიროებები. მიწურულს კვლავ გამოთქვა დამაზუსტებელი რეპლიკა, რომ სესხი გაცემულია კონკრეტული მიზნობრიობით, ურბანული განვითარების მიზნით, სახელმწიფოსა და მუნიციპალიტეტის თანამონაწილეობით საგადასახადო ვალდებულებების შესრულების ნაწილში.

გადაწყვიტეს:

კომისიის წევრებმა – ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი ონიანმა თავი შეიკავა განკარგულების პროექტისათვის ხმის მიცემისაგან,

ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის" თავმჯდომარემ ზაზა თავაძემ მხარი არ დაუჭირა განკარგულების პროექტისათვის მიღებას,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის **ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსმა ვახტანგ ლომჯარიამ**, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, **სხდომის დღის წესრიგით - რიგით მე-3 საკითხად განსაზღვრული**, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში ზოგიერთი პირისათვის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელის გადახდაზე შეღავათის დადგენას.

**მომხსენებლის განმარტებით,** საქართველოში ახალი კორონავირუსით გამოწვეული ვითარების გამო, სრულიად საქართველოს ტერიოტორიაზე დაწესდა ეკონომიკური საქმიანობის გარკვეული შეზღუდვები, აღნიშნულ შეზღუდვებში მოქცეულნი არიან ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე არსებული კვების ობიექტები და სასტუმროებიც, ამასთან, დასძინა, რომ „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-46 დადგენილების თანახმად, კვების ობიექტებს,** რომელთაც დასუფთავების მოსაკრებელი ერიცხებათ ტექნიკური მაჩვენებლის **21-ე კატეგორიის მიხედვით** გადასახადი განესაზღვრებათ, დასაჯდომი ადგილების შესაბამისად (სატარიფო განაკვეთი 3 ლარი ერთ დასაჯდომ ადგილზე), ხოლო, **სასტუმროებს** დასუფთავების მოსაკრებელი ერიცხებათ ტექნიკური მაჩვენებლის **მე-6 კატეგორიის მიხედვით** გადასახადი განესაზღვრებათ, მომსახურების ერთეულის (საწოლი) ადგილების შესაბამისად (სატარიფო განაკვეთი 2,15 ლარი ერთ დასაჯდომ ადგილზე).

**მომხსენებელმა დასძინა,** რომ არსებული ვითარების გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **მთავრობამ იმსჯელა და მიზანშეწონილად მიიჩნია,** დადგენილების მოქმედი რედაქციის დანართი 2-ით დამტკიცებული ტექნიკური მაჩვენებლის **მე-6 და 21-ე კატეგორიის აბონენტებს** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის **დასუფთავების მოსაკრებლის დარიცხვაში დაუწესდეთ შეღავათი 1000 (ათასი) ლარის ოდენობით, რაც გულისხმობს/მოიცავს შემდეგს:**

- შეღავათი მოსაკრებლის გადამხდელთა ბაზიაში მიმდინარე ეტაპზე არსებული ინფორმაციით შეიძლება **დაუწესდეს დაახლოებით 454 სასტუმროს და 1376 კვების ობიექტს** (აბონენტს), სულ: 1830 აბონენტი, შეღავათი კი სავარაუდოდ შეადგენს 1 269 232-მდე (ერთიმილიონ ორასსამოცდაცხრა ათას ორასოცდათორმეტი) ლარს;
- შეღავათი გავრცელდება შემდეგ მოსაკრებლის გადამხდელებზე: სასტუმროებზე (სასტუმროს ტიპის საერთო საცხოვრებლებზე), რესტორნებზე, პიცერიებზე, სასადილოებზე (გარდა უმწეოთათვის უფასო სასადილოებისა) და კაფე-ბარებზე;
- მოსაკრებლის გადამხდელი **მოსაკრებლის გადახდისაგან თავისუფლდება არაუმეტეს 1000 ლარის ოდენობით,** 2022 წლის განმავლობაში. ამასთან, მოსაკრებლის გადამხდელი, შეღავათით სარგებლობისას არ უნდა იყოს რეაბილიტაციის ან გაკოტრების რეჟიმში ან ლიკვიდირებული.

მომხსენებელმა დასძინა, რომ იმ შემთხვევაში, თუ მოსაკრებლის გადამხდელი 1000 ლარის ოდენობის მოსაკრებლის გადახდისაგან გათავისუფლებით ისარგებლებს 2022 წლის დასრულებამდე, მას ამ პერიოდიდან მოსაკრებელი დაერიცხება ჩვეულებრივი წესით, ამასთან, მოსაკრებლის გადამხდელებს, რომელთაც 2022 წლის პერიოდზე გადახდილი აქვთ მოსაკრებელი, გადახდილი თანხა აესახებათ სააბონენტო ბარათზე (რომელიც არ ექვემდებარება დაბრუნებას) და ჩაითვლება წარმოდგენილი პროექტის მე-2 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული პერიოდის შემდგომ დარიცხული მიმდინარე დავალიანების დასაფარად, ამასთან, დადგენილების პროექტის დანართით გათვალისწინებული პირები უფლებამოსილი იქნებიან უარი განაცხადონ შეღავათით სარგებლობაზე, მოსაკრებლის გადახდევინებისათვის პასუხისმგებელ სამსახურთან ან საამისოდ უფლებამოსილ იურიდიულ პირთან განაცხადის შეტანის გზით.

ვახტანგ ლომჯარიას მითითებით, პროექტი მოწონებულ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ შესაბამისი განკარგულებით და მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ქალაქ თბილისის საკრებულოსთვის წარმოდგენა, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ამასთან, პროექტი დამტკიცების შემთხვევაში ამოქმედდება 2022 წლის 1 იანვრიდან, ხოლო, მისი ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

აზრი გამოთქვეს:

ფრაქციის ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარემ, კომისიის წევრმა გიორგი ონიანმა კითხვით მიმართა მომხსენებელს, წარმოდგენილი პროექტის ფარგლებში რატომ იგეგმება მხოლოდ მითითებული კატეგორიებისათვის დასუფთავების მოსაკრებელთან დაკავშირებით შეღავათის გაწევა, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ კოვიდ 19-ის გამო დიდი ოდენობით ზიანი მიადგათ სალონების სფეროს წარმომადგენლებს, შესაბამისად, მიზანშეწონილად მიიჩნია შეღავათი ასევე გაეწიოს სალონებს, მცირე სახის კლინიკებს და საცხობ დაწესებულებებს.

მომხსენებელმა განმარტა, რომ კოვიდის გათვალისწინებით, მთელი რიგი შეღავათები დაუწესდათ იმ მეწარმეებს, რომლებიც ქ.თბილისში საქმიანობენ, სხვადასხვა ეტაპზე. მოცემული მდგომარეობით, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული წარმოდგენილი სფეროების დახმარება, ვინაიდან, გამოვლინდა რომ რესტორნების საგულისხმო ნაწილი – დაახლოებით 30 პროცენტი იქნა დახურული პანდემიის გათვალისწინებით, რაზეც გავლენა იქონია ტურისტული ნაკადის სიმცირემ, მომხსენებელმა ასევე მიუთითა, რომ შესაძლებელია ჩატარდეს კვლევა, ხოლო, საჭიროების დადასტურების შემთხვევაში, წარიმართება მსჯელობა შესაბამის სფეროზე პროექტით წარმოდგენილი შეღავათების გავრცელებაზე.

გადაწყვიტეს:

კომისიის წევრებმა – ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი ონიანმა <u>თავი შეიკავა</u> დადგენილების პროექტისათვის ხმის მიცემისაგან,

ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ ზაზა თავაძემ <u>მხარი არ დაუჭირა</u> დადგენილების პროექტის მიღებას,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსმა ვახტანგ ლომჯარიამ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგით - რიგით მე-4 საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რაც ითვალისწინებს, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-46 დადგენილებით დამტკიცებულ დანართ 2-ში.

მომხსენებლის განმარტებით, „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონის 12[1] მუხლით დაწესებულია მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის და განსაზღვრულია მოსაკრებლის ზღვრული ოდენობები. აღნიშნული მუხლის თანახმად, ორგანიზაციისა და დაწესებულებისათვის მოსაკრებლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს - 25 ლარს ერთ კუბურმეტრ ნარჩენზე, ამასთან, აღნიშნული კანონით დადგენილი წესით ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, გაუქმებისა და მათზე შეღავათების დაწესების უფლება აქვს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოს, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს წარდგინებით.

ვახტანგ ლომჯარიას მითითებით, „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-46 დადგენილებით, დაწესებულია მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის, როგორც ფიზიკურ ასევე იურიდიულ პირებზე, ამასთან, აღნიშნული დადგენილებით, იურიდიული პირებისათვის დაწესებული მოსაკრებლის ზღვრული ოდენობები თავდაპირველად დაწესებული იქნა ქ. თბილისის მთავრობის 2006 წლის 1 დეკემბრის №02.17.62 დადგენილებით, რაც დღემდე არ შეცვლილა.

მომხსენებელმა განმარტა, რომ ნარჩენების მართვისა და დაგვა-დასუფთავების მიზნებისთვის, 2018 წელს თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გაწეული იქნა 56 306 289.96 ლარის ხარჯი, ამასთან, გამომდინარე იქიდან, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალური ნარჩენების ნაგავსაყრელ პოლიგონზე ამავე პერიოდში შეტანილი იქნა 420 ათასი ტონა ნარჩენი, რაც დაახლოებით 2 100 000 მ3-ია, 1მ3 ნარჩენის შეგროვება-გატანის თვითღირებულებამ შეადგინა 27 ლარი, ასევე დასძინა, რომ დადგენილების მოქმედი რედაქციით, ორგანიზაციისა და დაწესებულებისათვის დაწესებული მოსაკრებლის ზღვრული ოდენობები წარმოადგენს გაანგარიშებას ყოველი 1მ3 ნარჩენის გატანისათვის 15 ლარის ოდენობით, რაც მინიმუმ 2 ჯერ ნაკლებია იმ ხარჯებზე, რომელიც ნარჩენების შეგროვება-გატანისათვისაა საჭირო, ამასთან,

**დედაქალაქში წარმოქმნილი ნარჩენების 69% წარმოადგენს ქ. თბილისში განთავსებული იურიდიული პირების მიერ წარმოქმნილ ნარჩენს.**

ვახტანგ ლომჯარიამ განაგრძო თხრობა და მიუთითა,რომქ. თბილისის მუნიციპალიტეტში ერთი თვის განმავლობაში განხორციელდა დედაქალაქში მოქმედი იურიდიული პირების მიერ წარმოქმნილი ნარჩენების გადაანგარიშება (ქრონომეტრაჟი), დადგენილებით განსაზღვრული **იურიდიული პირების კატეგორიების მიხედვით** და დადგინდა, რომ **2010 წლიდან დღემდე, ორგანიზაციებისა და დაწესებულების მიერ წარმოქმნილი ნარჩენების ოდენობა გაზრდილია 25%-მდე**, იურიდიული პირების ნაწილში მატება განპირობებულია ერთის მხრივ, იურიდიული პირების მატებით, ხოლო, მეორეს მხრივ მათ მიერ წარმოქმნილი ნარჩენების ოდენობების მატებით.

**მომხსენებელმა შემაჯამებლად აღნიშნა, რომ** წარმოდგენილი პროექტით ცვლილება შედის დადგენილებაში (დანართ 2-ში), რის მიხედვითაც, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში მოქმედ იურიდიულ პირებს დაუწესდებათ დასუფთავების მოსაკრებლის ახალი განაკვეთები, „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-12[1] მუხლით განსაზღვრული ზღვრული ოდენობების შესაბამისად - **დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის დადგენილი მოსაკრებლის გადამხდელი იურიდიული პირები გადაიხდიან 25 ლარს ერთი კუბურმეტრ ნარჩენზე**, რაც ბევრად ნაკლებია იმ ოდენობაზე, ვიდრე, რეალურად უჯდება მუნიციპალიტეტს ნარჩენების შეგროვება-გატანის და მისი განთავსების მომსახურება.

მომხსენებელმა დაამატა, რომ დადგენილების პროექტი, დამტკიცების შემთხვევაში **ამოქმედდება 2022 წლის პირველი იანვრიდან** და მისი ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

**აზრი გამოთქვეს:**

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი ონიანმა აღნიშნა, რომ პროექტით წარმოდგენილი ღონისძიების ნაცვლად, მიზანშეწონილია, განხორციელდეს ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ გადასახდელი, დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის ოდენობების ურთიერთდაბალანსება, იმგვარად, რომ აღნიშნულთათვის დადგენილი ტარიფების შეფარდებით არ გამოვლინდეს, ფიზიკურ პირთა მხრიდან გადასახადის მეტი ტარიფით გადახდა, ამასთან, დასძინა, რომ აღნიშნული ბალანსის უზრუნველყოფა უმჯობესია, ვიდრე, იურიდიული პირებისათვის ტარიფის გაძვირება, რადგან, ამ უკანასკნელ შემთხვევაში, გაიზრდება იურიდიულ პირთა მომსახურება/პროდუქტი და უარყოფითად აისახება მოქალაქეთა ბიუჯეტზე.

გიორგი ონიანმა ასევე აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ცვლილება, არსებული ეკონომიკური ვითარებისა და იურიდიული პირებისათვის პანდემიით მიყენებული ზიანის გათვალისწინებით, მათ უფრო მეტად მიაყენებს ზიანს.

საკრებულოს წევრმა ცოტნე კობერიძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს თუ რა ოდენობის ფინანსური სახსრებია საჭირო, მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის სრულად სუბსიდირებისათვის?

სერგო ბირკაძემ განმარტა, რომ დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის ცნება რეგულირებულია, „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და თავისი სამართლებრივი ბუნების გათვალისწინებით, არ წარმოადგენს გადასახადს, იგი არის აუცილებელი გადასახდელი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, რომელსაც ფიზიკური და იურიდიული პირები იხდიან, კანონით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელების ან/და სარგებლობის უფლების მინიჭებისათვის, ასევე მუნიციპალიტეტის ორგანოს მიერ გარკვეული მომსახურების გაწევისათვის, ადმინისტრაციული ხარჯებისა და სხვა ოპერაციული ღონისძიებების დაფინანსების ჩათვლით, შესაბამისად, აღნიშნული გადასახდელის გაუქმება, არის წარმოუდგენელი, ამასთან, დასძინა, რომ მითითებული კანონის შესაბამისად, დადგენილია მოსაკრებლის ოდენობა იურიდიული პირის, ორგანიზაციისა და დაწესებულებისათვის – არაუმეტეს 25 ლარი ერთ კუბურ მეტრნარჩენებზე, რასაც რამდენადმე ჩამორჩება მუნიციპალიტეტში დადგენილი ტარიფები.

ვახტანგ ლომჯარიამ განმარტა, რომ პროექტით წარმოდგენილი ცვლილება შესაძლებლობას მისცემს „თბილსერვის ჯგუფ“–ს მიიღოს იურიდიული პირებისათვის გაწეული სერვისისათვის, აღნიშნულის ღირებულების გათვალისწინებით, შედარებით უფრო ადეკვატური მოსაკრებელი, რასაც გამოიყენებს კაპიტალის გაძლიერებისა და სფეროთა განვითარებისათვის, ამასთან, დასძინა, რომ წარმოდგენილი ცვლილებათა პაკეტიც კი ვერ უზრუნველყოფს აუნაზღაურდეს მუნიციპალიტეტს გაწეული მომსახურების ღირებულება სრულად, რაც საჭიროა დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის.

გადაწყვიტეს:

**კომისიის წევრებმა – ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი ონიანმა** <u>**თავი შეიკავა**</u> **დადგენილების პროექტისათვის ხმის მიცემისაგან,**

**ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ ზაზა თავაძემ** <u>**მხარი არ დაუჭირა**</u> **დადგენილების პროექტის მიღებას,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე **დამსწრე დანარჩენმა წევრებმა** ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

**5.** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - **ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ვიქტორ წილოსანმა,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, **სხდომის დღის წესრიგით - რიგით მე-5 საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დადგენილების პროექტი, რაც ითვალისწინებს,** „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროდ განსაზღვრული ავტობუსებით (M2 კატეგორია) მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისსაკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №8-31 დადგენილებაში ცვლილების შეტანას.

მომხსენებელმა განმარტა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარდგენილია საკრებულოს დადგენილების პროექტი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ", რომელიც ითვალისწინებს ლოტი №4-დან №104 მარშრუტის, ლოტი №5-დან №54 მარშრუტის გაუქმებას, აღნიშნულიდან გამომდინარე, დღის წესრიგში დადგა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №8-31 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის აუცილებლობა, რაც გულისხმობს, მითითებული დადგენილების პირველი მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ" და „ე.დ" ქვეპუნქტების შემდეგი რედაქციით ჩამოყალიბებას:

- „დ.დ) №№21, 39, 43, 48, 52, 99, 136, 139, 187, 222 მარშრუტებზე - 0,5 ლარის ოდენობით;"
- „ე.დ) №№ 5, 28, 55, 70, 71, 84, 91, 95, 103, 105, 113, 119, 155, 156, 162, 185, 189, 190, 191, 199 მარშრუტებზე - 0,5 ლარის ოდენობით;"

მომხსენებელმა ასევე აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტი მოწონებულ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ, შესაბამისი განკარგულებით, დადგენილების პროექტი, დამტკიცების შემთხვევაში, ამოქმედდება 2022 წლის პირველი იანვრიდან და მისი ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

გადაწყვიტეს:

კომისიის წევრებმა – ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი ონიანმა <u>თავი შეიკავა</u> დადგენილების პროექტისათვის ხმის მიცემისაგან,

ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის" თავმჯდომარემ ზაზა თავაძემ <u>მხარი არ დაუჭირა</u> დადგენილების პროექტის მიღებას,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

6. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ვიქტორ წილოსანმა, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგით - რიგით მე-6 საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რაც ითვალისწინებს, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებულ, დანართ N1-ში, დანართი N2-ში, დანართ N3-სა და დანართი 4-ის ნაწილში კორექტივების შეტანას.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, დედაქალაქის მაცხოვრებლები ითხოვდნენ, სატრანსპორტო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, ავტობუსების (M2 კატეგორია) მარშრუტებში ცვლილებების შეტანას, ხოლო, მგზავრთა მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, დღის წესრიგში დადგა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის აუცილებლობა, მომზადებულ იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ წარმოდგენილ იქნა ქალაქ თბილისის საკრებულოში, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ვიქტორ წილოსანის მითითებით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილების პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით დამტკიცებულ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართვის უზრუნველსაყოფას ავტობუსების (M2კატეგორია) მარშრუტების" - დანართი 2-ის შენიშვნის პირველი პუნქტის გათვალისწინებით - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას მინიჭებული აქვს უფლებამისილება - ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით - განკარგულებით, შესაბამისი შეზღუდული ვადით, განახორციელოს ამ მარშრუტების კორექტირება ან განსაზღვროს დროებითი მარშრუტი/მარშრუტები ან განახორციელოს ცვლილება მარშრუტზე ჩართული ავტობუსების რაოდენობაში.

მომხსენებელმა დასძინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ, დროებითი ღონისძიების სახით ამოქმედებულ იქნა M2 კატეგორიის ავტობუსების შემდეგი მარშრუტები:

- ლოტი #4-ის ფარგლებში ამოქმედდა: #421მარშრუტი, #441მარშრუტი, #443 მარშრუტი,#446 მარშრუტი; #494 მარშრუტი;
- ლოტი#5-ის ფარგლებში ამოქმედდა: #454მარშრუტი; გამომდინარე აღნიშნულიდან შესაბამისი ცვლილებები ხორციელდება დანართი 3 და დანართი 4-ში;

- გატარებული ცვლილებებით მაქსიმალური რაოდენობები განისაზღვრა: ლოტი #4-ზე 122 ერთეული, ლოტი #5-ზე 103 ერთეული. მთლიანი ჯამი წარმოადგენს 465 ერთეულს;

- ზოგიერთი ახალი მარშრუტების ამოქმედებამ გამოიწვია უკვე არსებული მარშრუტების სრული გადაფარვა, რის გამოც საჭირო გახდა მათი დანართი 1-დან ამოღება;

- ცვლილებები შევიდა დანართი 1-ში მარშრუტების მაქსიმალურ რაოდენობებში და განისაზღვრა შემდეგი: ლოტი #4-ზე 258-ის ნაცვლად 233 ერთეული, ხოლო ლოტი #5-ზე 225-ის ნაცვლად 219 ერთეული.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტი დამტკიცების შემთხვევაში, ამოქმედდება 2022 წლის პირველი იანვრიდან და მისი ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

გადაწყვიტეს:

კომისიის წევრებმა – ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი ონიანმა თავი შეიკავა დადგენილების პროექტისათვის ხმის მიცემისაგან,

ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ ზაზა თავაძემ მხარი არ დაუჭირა დადგენილების პროექტის მიღებას,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:
7. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ვიქტორ წილოსანმა, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგით - რიგით მე-7 საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რაც ითვალისწინებს, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორიის და მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული M2 კატეგორიის) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“, საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ დასაბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების/ფასის, აგრეთვე რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას და საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრთა გადაყვანისას ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანას.

მომხსენებლის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული, მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული: ავტობუსებით (M2 და M3 კატეგორიები), მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანის, საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრთა გადაყვანის მიმართ მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე და დედაქალაქში ტურისტთა მზარდი ნაკადის გათვალისწინებით, დღის წესრიგში დადგა მგზავრობის ტარიფის/ფასის გადახდა, გარდა დღეის მდგომარეობით მოქმედი სამგზავრო პლასტიკური ბარათის და გადახდის სხვა საშუალებისა, ასევე განხორციელდეს ვადიანი სამგზავრო ბარათებით, ამასთან, მგზავრთა გადაყვანის საქმეში ინერგება გადახდის ახალი სისტემა.

ვიქტორ წილოსანის მითითებით, ზემომითითებულ ღონისძიებათა გათვალისწინებით, შემუშავდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტი, რომლის მიხედვითაც:

- ვადიანი ბარათის დიზაინს, მის გაცემაზე უფლებამოსილ პირს და ვადიანი სამგზავრო ბარათის გამოყენების წესს განსაზღვრავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა;

- ბარათით სარგებლობა შესაძლებელი იქნება ერთი დღის განმავლობაში ზემოაღნიშნული ყველა სახის ტრანსპორტით ჯამში 20-ჯერ და ბარათით სარგებლობისას დაცული იქნება არანაკლებ 15 წუთიანი ინტერვალი;

- ვადიანი სამგზავრო ბარათის ღირებულება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული, მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული: ავტობუსებით (M2 და M3 კატეგორიები), მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგიროგზით „უნივერსიტეტი-ბაგები" მგზავრთა გადაყვანისას, დროის მონაკვეთის მიხედვით, დგინდება შემდეგი ოდენობით:

- 1 დღე - 3 ლარი (გადახდის მომენტიდან მომდევნო 24 საათის განმავლობაში);
- 1 კვირა - 20 ლარი (გადახდის მომენტიდან მომდევნო 6 კალენდარული დღის განმავლობაში);
- 1 თვე - 40 ლარი (გადახდის მომენტიდან შემდეგი თვის შესაბამისი რიცხვის ჩათვლით);
- 3 თვე - 100 ლარი (გადახდის მომენტიდან მომდევნო 91 კალენდარული დღის განმავლობაში);
- 6 თვე - 150 ლარი (გადახდის მომენტიდან მომდევნო 182 კალენდარული დღის განმავლობაში);
- 1 წელი - 250 ლარი (გადახდის მომენტიდან შემდეგი წლის შესაბამის კალენდარულ დღემდე).
- სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებული სისტემით მგზავრობა განისაზღვრება 90 წუთის განმავლობაში ულიმიტოდ, ერთი ლარის ოდენობით.

ვიქტორ წილოსანის მითითებით, წარმოდგენილი პროექტით, ვადიანი სამგზავრო ბარათების რეალიზაცია დაიწყება 2022 წლის პირველი იანვრიდან, ხოლო ბარათებით სარგებლობა - დადგენილების პროექტით დადგენილი დროის მონაკვეთების შესაბამისად - 2022 წლის პირველი თებერვლიდან.

მომხსენებელმა დასძინა, რომ 2022 წლის პირველი იანვრიდან 31 იანვრის ჩათვლით შეძენილი ვადიანი სამგზავრო ბარათები ძალაშია 2022 წლის პირველი თებერვლიდან, ამასთან, მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანის და საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები" სამგზავრო გადაყვანის განმახორციელებელი იურიდიული პირის განკარგულებაში დარჩება სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებული სისტემისა მოქმედებიდან 2022 წლის პირველ თებერვლამდე ამ გადაყვანებით შესული თანხები, ხოლო 2022 წლის პირველი თებერვლიდან მგზავრობის ფასი ჩაირიცხება სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ანგარიშზე.

ვიქტორ წილოსანმა მოხსენების მიწურულს აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტი მოწონებულ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ, შესაბამისი განკარგულებით, პროექტი, დამტკიცების შემთხვევაში, ამოქმედდება 2022 წლის პირველი იანვრიდან, ხოლო, მისი ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

აზრი გამოთქვეს:

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი ონიანმა გამოთქვა მოსაზრება წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით და მიუთითა, რომ ახალი ტარიფები მოსახლეობის იმ ფენისათვის გაძვირდება, რომლელთაც არ გააჩნიათ ყოველდღიური სამსახური, გააჩნიათ დღიური შემოსავალი და მუშაობის პერიოდი მათთვის წინასწარ არ არის ცნობილი. გიორგი ონიანმა ასევე მიუთითა, რომ მიზანშეწონილი იქნებოდა, დადგენილებით აღნიშნული საკითხის დადგენილების სახით რეგულირებამდე, განსაზღვრულიყო კონკრეტული პერიოდით, საცდელი სახით, რათა მოსახლეობისათვის წარმოდგენილიყო თვალსაჩინო განსხვავება პროექტით წარმოდგენილ ტარიფებთან დაკავშირებით.

საკრებულოს წევრმა ცოტნე კობერიძემ მოსაზრება გამოთქვა, რომ პროექტით წარმოდგენილი ტარიფებით ძვირდება მოსახლეობის გაჭირვებული ფენისათვის, ვინც ყოველდღიურად გადაადგილდება საზოგადოებრივი ტრანსპორტით.

ვიქტორ წილოსანმა განმარტა, რომ დედაქალაქში სატრანსპორტო პოლიტიკა არ არის ორიენტირებული უფრო მეტის მოგების მიღებაზე, შემოსავლების გაძლიერებაზე, რაც აისახება კიდეც სსიპ – ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ფინანსურ მაჩვენებლებზე, რადგან, მუნიციპალიტეტის მიზანია საზოგადოებრივი ტრანსპორტი იყოს ხელმისაწვდომი და მოსახლეობის მატერიალურ ინტერესთან შესაბამისი. ამასთან, დასძინა, რომ იმ შემთხვევაში თუ მოსახლეობის მიერ შეძენილი იქნება შესაბამის ვადიანი ბარათი და პანდემიური ვითარების გამო მოხდება შეზღუდვა საზოგადოებრივი ტრანსპორტისა, შესაბამის პირი არ მიიღებს აღნიშნულის გამო მატერიალურ ზიანს და უზრუნველყოფილი იქნება ბარათის მოქმედების ვადის გაზრდა სავარაუდო დანაკლისის შესაბამისად. ამასთან, დასძინა, რომ პროექტის ფარგლებში განხორციელდა ტარიფების დიფერენცირება, რაც ერთიანი პაკეტის შეძენის შემთხვევაში იძლევა შესაძლებლობას პირმა იმგზავროს ულიმიტოდ, შესაბამისი მუნიციპალური სატრანსპორტო საშუალებით, რაც საბოლოოდ ჯამში შეღავათის მიმცემია მოქალაქის ბიუჯეტისათვის.

გადაწყვიტეს:

კომისიის წევრებმა – ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი ონიანმა <u>თავი შეიკავა</u> დადგენილების პროექტისათვის ხმის მიცემისაგან,

<u>ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ ზაზა თავაძემ მხარი არ დაუჭირა</u> დადგენილების პროექტის მიღებას;

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

8. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ვიქტორ წილოსანმა, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა

დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, **სხდომის დღის წესრიგით - რიგით მე-8 საკითხად განსაზღვრული,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დადგენილების - პროექტი, რაც ითვალისწინებს, „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანას და გულისხმობს, **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალების ზონალური პარკირების საფასურის დადგენას სხვადასხვა დროის მონაკვეთების (1 დღე, 1 კვირა, 1 თვე, 6 თვე, 1 წელი) გათვალისწინებით, კერძოდ:**

- 1 დღე - 20 ლარი (გადახდის მომენტიდან მომდევნო 24 საათის განმავლობაში);
- 1 კვირა - 100 ლარი (გადახდის მომენტიდან მომდევნო 6 კალენდარული დღის განმავლობაში);
- 1 თვე - 300 ლარი (გადახდის მომენტიდან შემდეგი თვის შესაბამისი რიცხვის ჩათვლით);
- 6 თვე - 500 ლარი (გადახდის მომენტიდან მომდევნო 182 კალენდარული დღის განმავლობაში);
- 1 წელი - 800 ლარი (გადახდის მომენტიდან შემდეგი წლის შესაბამის კალენდარულ დღემდე).

**მომხსენებელმა დასძინა,** რომ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ, მოსაზრებები ეთხოვა ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო"-სა და შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია"-ს, რაზეც, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას შენიშვნები არ გააჩნდა, ხოლო, ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს მოსაზრებით, ვინაიდან, აღნიშნული სააგენტოს მხრიდან საჭიროა შესაბამისი სამუშაოების ჩატარება (სისტემის განახლება), დადგენილების პროექტით მოწესრიგებული საკითხების პროგრამული უზრუნველყოფა შესაძლებელი იქნება 2022 წლის 1 იანვრიდან.

მომხსენებლის მითითებით, ზონალური პარკირების საფასურის დროის მონაკვეთის მიხედვით გადახდის შემთხვევაში, აღნიშნული სატრანსპორტო საშუალების დგომა იმავე ვადით თავისუფლდება ზემოაღნიშნული წესი სპირველიდამე-2 პუნქტებით დადგენილი პარკირების საფასურების გადახდისაგან. ამასთან, დასძინა, რომ **პროექტი დამტკიცების შემთხვევაში ამოქმედდება 2022 წლის 01 იანვრიდან** და მისი ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

**გადაწყვიტეს:**
**კომისიის წევრებმა – ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი ონიანმა <u>თავი შეიკავა</u> დადგენილების პროექტისათვის ხმის მიცემისაგან,**

**ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის" თავმჯდომარემ ზაზა თავაძემ <u>მხარი არ დაუჭირა</u> დადგენილების პროექტის მიღებას,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:
9. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა - ირაკლი თავართქილაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგით - რიგით მე-9 საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ეკონომიკური საქმიანობის მიზნით, აუქციონის ფორმით ან პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემული უძრავი ქონების (გარდა, ღია კაფეს განთავსების მიზნით გადაცემული ქონებისა) მიმღებთათვის 2021 წლის 1 თებერვლიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მსოფლიო პანდემიად აღიარებული „კოვიდ– 19"–ის გავრცელების, ქვეყნის წინაშე არსებული მზარდი ეკონომიკური გამოწვევების გათვალისწინებით და სამეწარმეო საქმიანობის გავრცელების ხელშეწყობის მიზნით. გამოცემულ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისა და საკრებულოს შესაბამისი განკარგულებები, რომელთა თანახმადაც, ხელშემწყობი ღონისძიებები გავრცელდა, ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების მიზნით, სარგებლობის უფლებით გადაცემული უძრავი ქონების მოსარგებლეთა მიმართ და შესაბამისი მოსარგებლეებისათვის 2020 წლის 1 მარტიდან 31 მაისის პერიოდისთვის შემცირდა სარგებლობის ქირა და განისაზღვრა 0 (ნული) ლარის ოდენობით, ასევე, მოსარგებლეები გათავისუფლდნენ მითითებული პერიოდისათვის დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან.

მომხსენებელმა განაგრძო თხრობა და მიუთითა, რომ 2020 წლის ნოემბერში დამძიმებული ეპიდსიტუაციის გათვალისწინებით, ქვეყანაში მიღებული რეგულაციების გათვალისწინებით, შეიზღუდა რიგი ეკონომიკური საქმიანობები (გარდა, შესაბამისი აქტით განსაზღვრული საქმიანობებისა) და კვების ობიექტების/რესტორნების/ბარების/კაფეების ფუნქციონირება დასაშვები გახდა მხოლოდ მიტანის მომსახურებითა და პროდუქტის გატანის შემთხვევაში, ამასთან, დადგენილ საათებში აიკრძალა პირთა გადაადგილება ქვეითთა და სატრანსპორტო საშუალებით, ასევე, საჯარო სივრცეში ყოფნა, რომელთა გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისა და საკრებულოს გადაწყვეტილებით, ზემოხსენებული, ხელშემწყობი ღონისძიებები გავრცელდა 2020 წლის დეკემბრისა და 2021 წლის 31 იანვრის ჩათვლით პერიოდზე.

მომხსენებლმა დასძინა, რომ შედარებით შემსუბუქებული ეპიდვითარების მიუხედავად, ძალაში რჩება რიგი შეზღუდვები, რაც უარყოფითა აისახა/აისახება მეწარმეების ეკონომიკურ საქმიანობაზე, შესაბამისად, ქალაქ თბილისის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების მიზნით, აუქციონის ფორმით ან პირდაპირი განკარგის წესით, სარგებლობის

**უფლებით გადაცემული უძრავი ქონების** (გარდა ღია კაფეს განთავსების მიზნით გადაცემული ქონებისა) **მიმღებთა მიმართ განხორციელდეს შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებები:**

- მოსაგებლეებისათვის 2021 წლის პირველი თებერვლიდან 2022 წლის 31 იანვრის ჩათვლით პერიოდზე სარგებლობის ქირით შეცვლას და 0 (ნული) ლარით განსაზღვრას, **მოქმედი ხელშეკრულებების თანახმად, აღნიშნულ პერიოდზე სარგებლობის ქირა ჯამში შეადგენს დაახლოებით 4 450 000 ლარის** (2021 წლის ივნისის მდგომარეობით, ქ. თბილისის მთავრობასა და ასეთ მოსარგებლეებს შორის გაფორმებულია, ჯამში დაახლოებით 403 მოქმედი ხელშეკრულება, განკარგულების პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებები ვრცელდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 30 ივნისის შესაბამისი განკარგულების გამოცემის მომენტისათვის მოქმედ შესაბამის ხელშეკრულებებზე);
- **მოსარგებლეს, რომელსაც, გადაუხდელი აქვს 2021 წლის პირველი თებერვლიდან პერიოდზე საიჯარო ქირა/ქირის ნაწილი და იჯარის ხელშეკრულება შეუწყდა/ვადა ამოეწურა განსაზღვრული განკარგულების** გამოცემი მომენტამდე, 2021 წლის პირველი თებერვლიდან შესაბამისი ხელშეკრულების შეწყვეტამდე/ვადის ამოწურვამდე გადაუხდელ პერიოდზე საიჯარო ქირა განესაზღვრება 0 (ნული) ლარის ოდენობით და გათავისუფლდება შესაბამისი პირგასამტეხლოსგან;
- **მოსარგებლეებს, რომელთაც 2021 წლის პირველი თებერვლიდან 2022 წლის 31 იანვრის ჩათვლით პერიოდზე ფაქტობრივად გადახდილი აქვთ სარგებლობის ქირა/ქირის ნაწილი, ან/და ამავე პერიოდზე სარგებლობის საფასურის გადაუხდელობის** გამო დარიცხული პირდასამტეხლო, გადახდილი ქირა/ქირის ნაწილი/პირგასამტეხლო ჩაეთვლებათ მომავალი გადაუხდელი პერიოდის სარგებლობის ქირის ანგარიშში, გადახდილი პერიოდის პროპორციულად;
- მოსარგებლეებს, რომელთაც გადახდილი აქვთ განსახილველ პერიოდზე სარგებლობის ქირა/ქირის ნაწილი და სარგებლობის ხელშეკრულების ვადა იწურება 2021 წლის პირველ თებერვლამდე, ხელშეკრულების ვადის ამოწურამდე დარჩენილ გადაუხდელ პერიოდზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სარგებლობის ქირა შეეცვლებათ და განესაზღვრებათ 0 (ნული) ლარის ოდენობით;
- გადახდილი სარგებლობის ქირა და პირგასამტეხლო არ ექვემდებარება დაბრუნებას, რაც მათ შორის მოიცავს ისეთ შემთხვევებსაც, რაც მათ შორის მოიცავს ისეთ შემთხვევებსაც, თუ გადახდილი სარგებლობის ქირის ჩათვლა იქნება შეუძლებელი ხელშეკრულების ვადის ამოწურვის ან სახელშეკრულებო ურთიერთობის ვადაზე ადრე შეწყვეტის გამო (განსახილველ პერიოდზე სარგებლობის ქირის ოდენობის შემცირების შედეგად, აღნიშნულ პერიოდზე სარგებლობის ქირის გადახდასთან დაკავშირებით მოსარგებლეებს არ დაერიცხებათ პირგასამტეხლო);
- მოსარგებლე, რომელსაც შესაბამისი სარგებლობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, სარგებლობის საფასურის გადაუხდელობის გამო, დაეკისრა/დაეკისრებოდა პირგასამტეხლო, 2021 წლის პირველი თებერვლიდან 2022 წლის 31 იანვრის ჩათვლით პერიოდზე გათავისუფლდება დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან (რაც ასევე მოიცას 2021 წლის 1 თებერვლამდე არსებული ვალდებულებების დარღვევისათვის დაკისრებული/ დასაკისრებელი პირგასამტეხლოს შემთხვევებსაც).

მომხსენებელმა დასძინა, რომ წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებები უნდა აისახოს იმ ქვემოსარგებლეებზეც, რომელთაც უძრავი ქონება სარგებლობის უფლებით გადაცემული აქვთ ამ პროექტით გათვალისწინებული მოსარგებლეებისგან, პროპორციულობისა და სამართლიანობის პრინციპების გათვალისწინებით, შესაბამის მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

**მომხსენებელმა ისაუბრა იმ მეწარმეებზე, რომლებზეც არ გავრცელდება პროექტით განსაზღვრული ღონისძიებები, რომელთა შორის არიან:**

- „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ კომერციულ ბანკებზე საბანკო საქმიანობის განხორციელების მიზნით გადაცემული უძრავი ქონების ნაწილში, გარდა ე.წ. სწრაფი გადახდის აპარატის განსათავსებლად გადაცემული უძრავი ქონებისა;

- „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ სუბიექტებზე საკომუნიკაციო ან/და მასთან დაკავშირებული მომსახურების გაწევის მიზნით გადაცემული უძრავი ქონების ნაწილში;

- „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ლიცენზიატებზე, გარდა, ელექტროსადგურის მწარმოებელი პირებისა, ამავე კანონით განსაზღვრული ან/და მასთან დაკავშირებული მომსახურებების გაწევის მიზნით გადაცემული უძრავი ქონების ნაწილში;

- იმ მოსარგებლეებზე, რომელთაც უძრავი ქონება გადაეცათ პირდაპირ ან ირიბად მასზე გარე რეკლამის განთავსების მიზნით. აღნიშნული პუნქტი გულისხმობს, მათ შორის, ქალაქ თბილისის მასშტაბით არსებულ ავტობუსის მოსაცდელებზე, ფეხით გადასასვლელ ხიდებსა თუ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის/მისი 50%–ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების საკუთრებაზე გარე რეკლამის განთავსებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს;

- იმ მოსარგებლეებზე, რომელთაც უძრავი ქონების სარგებლობის ქირა განსაზღვრული აქვთ არაფიქსირებული ოდენობით, მაგალითად, როდესაც, სარგებლობის ქირა გამომდინარეობს მოსარგებლობის თვიური/წლიური შემოსავლის გარკვეული პროცენტიდან.

**მოხსენების მიწურულს, ირაკლი თავართქილაძემ მიუთითა, რომ** პროექტის მიღების შედეგად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **ბიუჯეტი ვერ მიიღებს 2021 წლის პირველი თებერვლიდან 2022 წლის 31 იანვრის ჩათვლით პერიოდისათვის განსაზღვრულ სარგებლობის ქირას ჯამში დაახლოებით 4 450 000 ლარის ოდენობით** ( აქედან ფაქტობრივად გადახდილი საიჯარო ქირის ნაწილი დაექვემდებარება შემდგომი პერიოდის ანგარიშში ჩათვლას ) და განკარგულების პროექტით გათვალისწინებულ პირგასამტეხლოს თანხებს.

**აზრი გამოთქვეს:**
**კომისიის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია,** პროექტის სამართლებრივი საფუძვლებიდან ამოღებულ იქნას „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული

ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19–78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე–14 მუხლის 3[1] პუნქტი.

**კომისიის თავმჯდომარის მიერ მითითებული, შენიშვნა გაიზიარა საკითხის წარმომდგენმა.**

კომისიის სხდომაზე, **საკითხის წარმომადგენმა ითხოვა** წარმოდგენილი პროექტის მე–9 პუნქტში ცვლილების განხორციელება, რომლის მიხედვით, განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებები გავრცელდება ამავე განკარგულების მე–4 პუნქტით გათვალისწინებულ შესაბამის ხელშეკრულებებზე.

**მომხსენებლის მიერ აღნიშნულ წინადადებას დაეთანხმა კომისია.**

**გადაწყვიტეს:**
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე **დამსწრე წევრებმა** ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **კომისიის მიერ მითითებულის შენიშვნისა და საკითხის წარმომდგენის მიერ აღნიშნული წინადადების** გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

**მოისმინეს:**
10. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა - ირაკლი თავართქილაძემ**, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, **სხდომის** დღის წესრიგით - **რიგით მე-10 საკითხად განსაზღვრული,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელებიდან გამომდინარე, მცირე და საშუალო მეწარმეთა ხელშეწყობის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, **ღია კაფეს მოწყობის მიზნით გადაცემული მიწის ნაკვეთების მოიჯარეთა მიმართ ზოგიერთი ხელშემწყობი ღონისძიების განხორციელებას 2021 წლის 1 თებერვლიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდზე.**

**მომხსენებლის განმარტებით,** ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ პანდემიად აღიარებული ახალი კორონავირუსის -„COVID 19“-ის გავრცელებისა და ქვეყნის წინაშე არსებული მზარდი ეკონომიკური გამოწვევების გათვალისწინებით, პანდემიაზე შესაბამისი რეაგირებისა და სამეწარმეო საქმიანობის განვითარება-ხელშეწყობის მიზნით, გამოცემულ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისა და და ქალაქ თბილისის საკრებულოს განკარგულებები, რომელთა შესაბამისად, **ხელშემწყობი ღონისძიებები გავრცელდა ღია კაფეს მოწყობის მიზნით გადაცემული მიწის ნაკვეთების მოიჯარეთა მიმართ და შესაბამისი მოიჯარეებისთვის 2020 წლის 1 მარტიდან 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდისთვის შემცირდა საიჯარო ქირა და განისაზღვრა 0 (ნული) ლარის ოდენობით.** ამასთან, მოიჯარეები გათავისუფლდნენ 2020 წლის 1 მარტიდან 31 დეკემბრამდე პერიოდზე დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან, ხოლო, მოგვიანებით გართულებული ეპიდვითარების გამო, ქალაქ თბილისის მთავრობისა და საკრებულოს მიერ მიღებული

გადაწყვეტილებების საფუძველზე, ზემოხსენებული ხელშემწყობი ღონისძიებები გაგრძელდა 2021 წლის 31 იანვრის ჩათვლით პერიოდზე.

მომხსენებელმა დასძინა, რომ 2021 წლის 15 ივნისის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო N216 განკარგულება, რომლის მიხედვითაც, მოიჯარეთა მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებები გატარდა მხოლოდ 2021 წლის თებერვლიდან 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდზე. ვინაიდან, ქალაქ თბილისის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია ხელშემწყობი ღონისძიებების გავრცელება 2022 წლის პერიოდზეც, წარმოდგენილი პროექტით ძალადაკარგულად ცხადდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 15 ივნისის N216 განკარგულება.

ირაკლი თავართქილაძემ განაგრძო თხრობა და მიუთითა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სასყიდლით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გაცემული მიწის ნაკვეთების მოიჯარეების მიმართ განხორციელდეს დამატებითი ხელშემწყობი ღონისძიებები, შემდეგი სახით:

- წარმოდგენილი განკარგულების პროექტის პირველი მუხლის მიხედვით, ითვალისწინებს მოიჯარეებისთვის, 2021 წლის 1 თებერვლიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდზე შესაბამისი იჯარის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული საიჯარო ქირის შემცირებასა და 0 (ნული) ლარის ოდენობით განსაზღვრას (ამგვარი ხელშეკრულებების თანახმად, ზემოაღნიშნულ პერიოდზე გადასახდელი საიჯარო ქირა ჯამში შეადგენს დაახლოებით 1 192 000 ლარს; 2021 წლის ივნისის თვის მდგომარეობით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტსა და მოიჯარეებს შორის გაფორმებულია ჯამში დაახლოებით 153 მოქმედი ხელშეკრულება, ხოლო, მოიჯარეებს წარმოადგენენ სხვადასხვა იურიდიული და ფიზიკური პირები);
- პროექტის მე-2 მუხლის თანახმად, მოიჯარეს, რომელსაც 2021 წლის 1 თებერვლიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდზე ფაქტობრივად გადახდილი აქვს საიჯარო ქირა/ქირის ნაწილი ან/და 2021 წლის 1 თებერვლიდან პერიოდზე საიჯარო ქირის გადაუხდელობის გამო დარიცხული აქვს პირგასამტეხლო, გადახდილი ქირა/ქირის ნაწილი/პირგასამტეხლო ჩაეთვლება მომავალი გადაუხდელი პერიოდის საიჯარო ქირის ანგარიშში (ასეთის არსებობის შემთხვევაში), გადახდილი პერიოდის პროპორციულად;
- განკარგულების პროექტის მე-3 მუხლის მიხედვით მოიჯარეს, რომელსაც გადახდილი აქვს 2021 წლის 1 თებერვლიდან პერიოდზე საიჯარო ქირა/ქირის ნაწილი და იჯარის ხელშეკრულების ვადა იწურება 2022 წლის 31 დეკემბრამდე, ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე დარჩენილ გადაუხდელ პერიოდზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საიჯარო ქირა შეეცვლება და განესაზღვრება 0 (ნული) ლარის ოდენობით;
- მოიჯარეს, რომელსაც შესაბამისი იჯარის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, საიჯარო ქირის გადაუხდელობის გამო, დაეკისრა/დაეკისრებოდა პირგასამტეხლო, 2021 წლის 1 თებერვლიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდზე გათავისუფლდეს დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან.

- განკარგულების პროექტით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებები ვრცელდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 30 ივნისის შესაბამისი განკარგულების გამოცემის მომენტისათვის მოქმედ შესაბამის ხელშეკრულებებზე;
- პროექტის თანახმად, ღია კაფეს მოიჯარეს, რომელსაც გადაუხდელი აქვს 2021 წლის 1 თებერვლიდან პერიოდზე საიჯარო ქირა/ქირის ნაწილი და იჯარის ხელშეკრულება შეუწყდა/ვადა ამოეწურა ამ განკარგულების გამოცემის მომენტამდე, 2021 წლის 1 თებერვლიდან შესაბამისი ხელშეკრულების შეწყვეტამდე/ვადის ამოწურვამდე გადაუხდელ პერიოდზე საიჯარო ქირა განესაზღვრება 0 ლარის ოდენობით და გათავისუფლდება შესაბამისი პირგასამტეხლოსგან;
- პროექტის თანახმად, გადახდილი საიჯარო ქირა და პირგასამტეხლო არ ექვემდებარება დაბრუნებას, რაც, მათ შორის, მოიცავს ისეთ შემთხვევებსაც, თუ გადახდილი საიჯარო ქირის ჩათვლა იქნება შეუძლებელი ხელშეკრულების ვადის ამოწურვის ან საიჯარო ურთიერთობის ვადაზე ადრე შეწყვეტის გამო.
- პროექტით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებები აისახება იმ ქვემოიჯარეებზეც, რომელთაც უძრავი ქონება სარგებლობის უფლებით გადაცემული აქვთ ამ პროექტით გათვალისწინებული მოიჯარისაგან, პროპორციულობისა და სამართლიანობის პრინციპების გათვალისწინებით, შესაბამის მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, განკარგულების პროექტის მიღების შედეგად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი ვერ მიიღებს 2021 წლის 1 თებერვლიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდისთვის განსაზღვრულ საიჯარო ქირას ჯამში დაახლოებით 1 192 000 ლარის ოდენობით (აქედან, ფაქტობრივად გადახდილი საიჯარო ქირის ნაწილი დაექვემდებარება შემდგომი პერიოდის ანგარიშში ჩათვლას) და განკარგულების პროექტით გათვალისწინებულ პირგასამტეხლოს თანხებს.

აზრი გამოთქვეს:
კომისიის სხდომაზე საკითხის წარმომდგენმა ითხოვა წარმოდგენილი განკარგულების პროექტის მე–8 პუნქტში ცვლილების განხორციელება, რომლის მიხედვით, განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებები გავრცელდება ასევე, განკარგულების მე–4 პუნქტით გათვალისწინებულ შესაბამის ხელშეკრულებებზე.

მომხსენებლის მიერ აღნიშნულ წინადადებას დაეთანხმა კომისია.

გადაწყვიტეს:
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და საკითხის წარმომდგენის მიერ აღნიშნული წინადადების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:
11. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა - ირაკლი თავართქილაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგით - რიგით მე-11 საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელებიდან გამომდინარე, მცირე და საშუალო მეწარმეთა ხელშეწყობის მიზნით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ღია კაფეს მოწყობის მიზნით გადაცემული მიწის ნაკვეთების მოიჯარეთა მიმართ ზოგიერთი ხელშემწყობი ღონისძიების განხორციელების საკითხზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას.

**მომხსენებლის განმარტებით,** მსოფლიო პანდემიად აღიარებული „კოვიდ–19"–ით შექმნილი ვითარების გამო დადგენილი შეზღუდვები, მართალია, დღეის მდგომარეობით შემსუბუქებულია თუმცა, კვლავ ძალაშია რიგი შეზღუდვები, რაც ნეგატიურად აისახა/ისახება მეწარმეების ეკონომიკურ საქმიანობაზე, არსებული პროგნოზების გათვალისწინებით, აღნიშნული ტიპის დაწესებულებებს მიმდინარე წლის განმავლობაშიც შესაძლოა გაუჭირდეთ შემოსავლების პანდემიამდე არსებულ ნიშნულზე დაბრუნება, ამასთან, არსებული ეპიდვითარების გათვალისწინებით, პანდემიაზე შესაბამისი რეაგირების მიზნით დაწესებული შეზღუდვების სრულად გაუქმების/აღმოფხვრის თარიღი ჯერჯერობით უცნობია.

ირაკლი თავართქილაძემ დასძინა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიზანს წარმოადგენს დედაქალაქში სამეწარმეო საქმიანობის განვითარების ხელშეწყობა, ასევე, იმისათვის, რათა კიდევ უფრო არ გაუარესდეს მცირე და საშუალო სამეწარმეო საქმიანობის მიზნით გადაცემული უძრავ ქონების მოიჯარეთა ფინანსური მდგომარეობა, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ეკონომიკური საქმიანობის მიზნით, აუქციონის ფორმით ან პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემული უძრავი ქონების მიმღებთა მიმართ განხორციელდეს გარკვეული ხელშემწყობი ღონისძიებები, შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარმოედგინა შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების გატარების საკითხი:

- მოსარგებლეს, რომელსაც შესაბამისი სარგებლობის ხელშეკრულების ვადა ამოეწურა/ხელშეკრულება შეუწყდა 2020 წლის 1 იანვრიდან განსახილველი განკარგულების გამოცემის მომენტამდე, თუმცა ფაქტობრივად სარგებლობდა/სარგებლობს უძრავი ქონებით, სარგებლობის ვადის ამოწურვის თარიღიდან განსახილველი განკარგულების გამოცემის მომენტამდე პერიოდზე მიწის ნაკვეთით ფაქტობრივი სარგებლობისათვის არ დაეკისრება სარგებლობის საფასურისა (ქირა) და შესაბამისი პირგასამტეხლოს გადახდა. მოსარგებლის მიერ განსახილველი განკარგულების გამოცემის მომენტამდე მიწის ნაკვეთით ფაქტობრივი სარგებლობისთვის გადახდილი სარგებლობის საფასური/პირგასამტეხლო (ასეთის არსებობის შემთხვევაში) არ ექვემდებარება ჩათვლას ან/და დაბრუნებას;

- ასეთ მოსარგებლეს, რომელიც განსახილველი განკარგულების გამოცემის მდგომარეობით ფაქტობრივად სარგებლობს უძრავი ქონებით, შესაბამისი ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების მიზნით, შესაბამის უძრავ ქონებაზე სარგებლობის ვადა შესაძლებელია გაუგრძელდეს არაუმეტეს სარგებლობის ვადის ამოწურვის (შეწყვეტის) თარიღიდან 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდზე, შესაბამისი სარგებლობის ხელშეკრულების პირობების უცვლელად, იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი უძრავი ქონება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ სხვა პირზე არ არის რაიმე ფორმით განკარგული.

აღნიშნული ღონისძიება გავრცელდება მხოლოდ იმ მოსარგებლეთა მიმართ, რომლებიც დადგენილი წესით არაუგვიანეს 2022 წლის პირველი იანვრისა გამოხატავენ ნებას სარგებლობის უფლების გაგრძელების თაობაზე, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსთვის შესაბამისი განცხადების წერილობითი ფორმით წარდგენის გზით და რომელთა მიმართაც სსიპ - ქონების მართვის სააგენტო გამოსცემს შესაბამის ბრძანებას. მოსარგებლის განცხადებას თან უნდა დაერთოს მომართვის დროისათვის უძრავი ქონების ფაქტობრივად ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია/ ფოტომასალა;

- მოსარგებლეს, რომელსაც გაუგრძელდება შესაბამისი სარგებლობის ხელშეკრულების მოქმედების ვადა, 2021-2022 წლების პერიოდზე სარგებლობის ქირა განესაზღვრება 0 (ნული) ლარის ოდენობით, გარდა განსახილველი განკარგულების პროექტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მომხსენებელის მითითებით, წარმოდგენილი **განკარგულების პროექტი, ასევე, ითვალისწინებს ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელებას იმ მოსარგებლეთა მიმართ, რომელთაც სარგებლობის ხელშეკრულების ვადა ეწურებათ 2022 წლის 1 იანვრამდე, კერძოდ:**

- **ასეთ მოსარგებლეს შესაბამის უძრავ ქონებაზე სარგებლობის ვადა შესაძლებელია გაუგრძელდეს არაუმეტეს სარგებლობის ვადის ამოწურვის თარიღიდან 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდზე, შესაბამისი სარგებლობის ხელშეკრულების პირობების უცვლელად.** აღნიშნული ღონისძიება გავრცელდება მხოლოდ იმ მოსარგებლეთა მიმართ, რომლებიც დადგენილი წესით შესაბამისი ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე გამოხატავენ ნებას სარგებლობის უფლების გაგრძელების თაობაზე, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსთვის შესაბამისი განცხადების წერილობითი ფორმით წარდგენის გზით და რომელთა მიმართაც სსიპ - ქონების მართვის სააგენტო გამოსცემს შესაბამის ბრძანებას;

**მომხსენებელმა ხაზი გაუსვა იმ საკითხს, რომ 2021 წლის ივნისის მდგომარეობით,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ (წარმოდგენილი სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს მიერ) გაფორმებული იმ სარგებლობის ხელშეკრულებების რაოდენობა (რომელთა მოქმედების ვადა ამოიწურა/შეწყდა 2020 წლის 1 იანვრიდან ან რომელთა მოქმედების ვადა იწურება 2022 წლის 1 იანვრამდე), რომელთაც შესაძლოა შეეხოთ ზემოაღნიშნული ღონისძიება, ჯამში დაახლოებით შეადგენს 95 ერთეულს.

მომხსენებელმა მიუთითა, რომ **განკარგულებით განსაზღვრული შესაბამისი ხელშემწყობი ღონისძიებები გავრცელდება** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების - შპს „თბილსერვის ჯგუფის“ შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ და სს „ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის“ შესაბამისი ურთიერთობების მონაწილეთა მიმართ, ხოლო, 2021 წლის ივნისის მდგომარეობით, ზემოაღნიშნული კომპანიების მიერ გაფორმებული იმ სარგებლობის ხელშეკრულებების რაოდენობა, რომელთაც შესაძლოა შეეხოთ ზემოაღნიშნული ღონისძიება, **ჯამში დაახლოებით შეადგენს: თბილსერვისის შემთხვევაში - 42 ერთეულს, სატრანსპორტო კომპანიის შემთხვევაში - 21 ერთეულს, ამასთან,** ზემოაღნიშნული ხელშეკრულებებიდან, რომელთა მოქმედების ვადა ამოიწურა/შეწყდა, სარგებლობის ხელშეკრულების ვადის გაგრძელების ღონისძიება შეეხებათ მხოლოდ იმ მოსარგებლეებს, რომლებიც დღესდღეობით ფაქტობრივად სარგებლობენ უძრავი ქონებით, ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების მიზნით.

მომხსენებელმა დასძინა, რომ განკარგულების პროექტი ითვალისწინებს ხელშემწყობ ღონისძიებებს ყველა სხვა მოსარგებლის მიმართ, კერძოდ:

- ყველა სხვა მოსარგებლეს შესაბამის უძრავ ქონებაზე სარგებლობის ვადა შესაძლებელია გაუგრძელდეს შესაბამისი სარგებლობის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაზე დამატებით 2 (ორი) კალენდარული წლით, შესაბამისი სარგებლობის ხელშეკრულების პირობების უცვლელად. აღნიშნული ღონისძიება გავრცელდება მხოლოდ იმ მოსარგებლეთა მიმართ, რომლებიც დადგენილი წესით შესაბამისი ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე გამოხატავენ ნებას სარგებლობის უფლების გაგრძელების თაობაზე, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსთვის შესაბამისი განცხადების წერილობითი ფორმით წარდგენის გზით და რომელთა მიმართაც სსიპ - ქონების მართვის სააგენტო გამოსცემს შესაბამის ბრძანებას.

მომხსენებელმა ასევე ისაუბრა, იმ მეწარმეებზე, რომლებზეც, არ გავრცელდება განკარგულების პროექტით გათვალისწინებული ზემოხსენებული ხელშემწყობი ღონისძიებები, რომელთა შორისაა:

- „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ კომერციულ ბანკებზე საბანკო საქმიანობის განხორციელების მიზნით გადაცემული უძრავი ქონების ნაწილში, გარდა ე.წ. სწრაფი გადახდის აპარატის განსათავსებლად გადაცემული უძრავი ქონებისა;
- „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ სუბიექტებზე საკომუნიკაციო ან/და მასთან დაკავშირებული მომსახურების გაწევის მიზნით გადაცემული უძრავი ქონების ნაწილში;
- „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ლიცენზიატებზე, გარდა ელექტროსადგურის მწარმოებელ პირებისა, ამავე კანონით განსაზღვრული ან/და მასთან დაკავშირებული მომსახურებების გაწევის მიზნით გადაცემული უძრავი ქონების ნაწილში;
- იმ მოსარგებლეებზე, რომელთაც უძრავი ქონება გადაეცათ პირდაპირ ან ირიბად მასზე გარე რეკლამის განთავსების მიზნით. აღნიშნული პუნქტი გულისხმობს, მათ შორის, ქალაქ თბილისის მასშტაბით არსებულ ავტობუსის მოსაცდელებზე, ფეხით გადასასვლელ ხიდებსა თუ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის/მისი 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების საკუთრებაზე გარე რეკლამის განთავსებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს;

მომხსენებელმა დასძინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ განკარგულებით გათვალისწინებულ საკითხზე დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, სსიპ - ქონების მართვის სააგენტო უზრუნველყოფს სარგებლობის უფლების გაგრძელების თაობაზე მოსარგებლეების განცხადებების განხილვასა და განკარგულებით დადგენილი კრიტერიუმების არსებობისა და მოსარგებლეთა მიერ განკარგულებით დადგენილი მომართვის ვადების დაცვის შემთხვევაში, შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) გამოცემა უცვლელი პირობებით სარგებლობის ვადის შესაბამისი პერიოდით გაგრძელების შესახებ, რაც არ საჭიროებს დამატებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისთვისა და საკრებულოსთვის წარდგენას.

ამასთან, მომხსენებელმა განმარტა, რომ განკარგულების თანახმად, შესაბამის მოსარგებლეზე ამ განკარგულებით გათვალისწინებული ღონისძიებების გავრცელების საკითხის განხილვისას, საზოგადოებრივი ინტერესების ან/და ქალაქგეგმარებითი პირობების გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ შესაძლებელია მიღებულ იქნას სხვაგვარი გადაწყვეტილება, რაც, ასევე, გულისხმობს სარგებლობის ხელშეკრულების ვადის გაგრძელების თაობაზე მოსარგებლის მომართვის დაკმაყოფილებაზე უარს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მოსარგებლე აკმაყოფილებს განსახილველი განკარგულების პროექტით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს.

**აზრი გამოთქვეს:**

**კომისიის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია, განკარგულების პროექტის სათაური შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელებიდან გამომდინარე, მცირე და საშუალო მეწარმეთა ხელშეწყობის მიზნით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, **ეკონომიკური საქმიანობის მიზნით, აუქციონის ფორმით ან პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით გადაცემული, უმრავი ქონების** მოსარგებლეთა მიმართ ზოგიერთი ხელშემწყობი ღონისძიების განხორციელების თაობაზე“

**კომისიის თავმჯდომარემ ასევე მიზანშეწონილად მიიჩნია, განკარგულების პრეამბულიდან** ამოღებულ იქნას „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-14 მუხლის 3[1] პუნქტი, ამასთან, დასძინა, რომ ვინაიდან წარმოდგენილი საკითხის საკრებულოში შემოსვლიდან მის განხილვამდე გასულია დაახლოებით 6 თვემდე პერიოდი მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული გახანგრძლივდეს შეღავათებით მოსარგებლეთათვის წარმოდგენილი განკარგულებით გათვალისწინებული ვადები და შეეხოს მოსარგებლეებს, რომლებიც 2022 წლის 1 იანვრამდე სარგებლობდნენ/სარგებლობენ შესაბამისი უმრავი ქონებით. ამასთან სარგებლობის უფლების ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით შესაბამისი განცხადების წარდგენის ვადა ნაცვლად2022 წლის პირველი იანვრისა, განისაზღვროს 2022 წლის პირველ აპრილამდე.

**კომისიის თავმჯდომარის მიერ მითითებული შენიშვნები გაიზიარა საკითხის წამომდგენმა.**

ხოლო, კომისიის სხდომაზე საკითხის წარმომდგენმა ითხოვა წარმოდგენილ განკარგულების პროექტში ცვლილების განხორციელება, რომლის მიხედვით, განკარგულების პირველი მუხლის „ა“ პუნქტის „ა.ბ“ ქვეპუნქტის მოქმედება არ გავრცელდება იმ მოსარგებლეებზე, რომელთაც უმრავი ქონების სარგებლობის ქირა განსაზღვრული აქვთ არაფიქსირებული ოდენობით (შემოსავლის პროცენტით).

**მომხსენებლის აღნიშნულ წინადადებას დაეთანხმა კომისია.**

**გადაწყვიტეს:**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და კომისიის მიერ მითითებული შენიშვნებისა და საკითხის წარმომდგენის მიერ აღნიშნული წინადადების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის თავმჯდომარემ ლევან ჟორჟოლიანმა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს შესთავაზა, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მე–12 და მე–13 საკითხებად განსაზღვრული *ღონისძიებების* – „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოსმენა“ და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსის მოსმენა“, *განხილვის გადადება,* მიმდინარე სხდომაზე სხვა განსახილველად დარჩენილი, უმნიშვნელოვანესი საკითხების, სხდომის გადაჭარბებული ხანგრძლივობის და ღამის საათების მოახლოების გათვალისწინებით.

გადაწყვიტეს:
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მე–12 და მე–13 საკითხებად განსაზღვრული ღონისძიებების განხილვის გადადების საკითხს, კომისიის თავმჯდომარის მიერ მითითებული გარემოებების გათვალისწინებით.

მოისმინეს:
14. იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ ლევან ჟორჟოლიანმა, კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2–1 დადგენილებით დამტკიცებული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგით - რიგით მე - 14 ღონისძიებად განსაზღვრული – ფრაქცია „თბილისი საქართველოსთვის“ წერილი.

კომისიის თავმჯდომარის მითითებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „თბილისი საქართველოსთვის“ წევრმა გიორგი შარაშიძემ, 2021 წლის 21 დეკემბერს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს მიმართა წერილით და წარუდგინა, ფრაქცია „თბილისი საქართველოსთვის“ 2021 წლის დეკემბრის სხდომის ოქმი (დღის წესრიგი: „თბილისი საქართველოსთვის“ ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე არჩევის შესახებ), რომელთა თანახმადაც, მითითებული ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილედ არჩეულ იქნა – ფრაქციის წევრი – გიორგი შარაშიძე, ხოლო, აღნიშნული დოკუმენტაცია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის რეზოლუციით, წარმოედგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიას.

კომისიის თავმჯდომარემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს შეახსენა, რომ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2–1 დადგენილებით დამტკიცებული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 37–ე მუხლის მე–4 პუნქტის თანახმად, ფრაქციის თავმჯდომარის, ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილეების არჩევის, გადაყენების, გადადგომის, აგრეთვე ფრაქციის სადამფუძნებლო დოკუმენტებში შესწორებათა შეტანის შესახებ სამი დღის ვადაში წერილობით ეცნობება ბიუროს და იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიას.

გადაწყვიტეს:
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად გადაწყვიტეს, რომ დაცულია „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2–1 დადგენილებით დამტკიცებული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი პროცედურული წესი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუროს მიერ ცნობის სახით მიღების მიზნით.

მოისმინეს:
15. იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის თავმჯდომარემ ლევან ჟორჟოლიანმა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, სხდომის დღის წესრიგით - რიგის მე - 15 საკითხად განსაზღვრული, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2–1 დადგენილებით დამტკიცებული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის – საბა ბუაძის 2021 წლის 23 დეკემბრის N19/032135729-03 განცხადება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ლელო პარტნიორობა – თბილისისთვის" რეგისტრაციის (შექმნის) შესახებ.

კომისიის თავმჯდომარის მითითებით, ზემოაღნიშნული განცხადებით, ქალაქ თბილისის საკრებულოს წევრმა – საბა ბუაძემ მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს და წარუდგინა, ფრაქციის „ლელო – პარტნიორობა თბილისისთვის“ წესდება და ფრაქციის სადამფუძნებლო სხდომის ოქმი, რომელთა თანახმად, ფრაქციაში „ლელო – პარტნიორობა თბილისისთვის“ გაერთიანდნენ საკრებულოს წევრები: საბა ბუაძე, ცოტნე კობერიძე და ვახტანგ სურგულაძე, ამასთან, მ/წლის 23 დეკემბრის, ფრაქციის N1 სხდომის ოქმის თანახმად, ფრაქციის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა საბა ბუაძე, ხოლო, ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილედ – ცოტნე კობერიძე. მომხსენებელმა ასევე დასძინა, რომ მითითებული დოკუმენტაცია, ქალაქ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის რეზოლუციით წარმოედგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიას.

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს შეახსენა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 30–ე მუხლის მე–3 ნაწილის თანახმად, ფრაქციის შექმნის მსურველი მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები შეიმუშავებენ მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის წესდებას, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა გაერთიანება ფრაქციის სტატუსს იძენს რეგისტრაციის მომენტიდან,

ხოლო, მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის შექმნისა და საქმიანობის წესები და მისი უფლებამოსილება განისაზღვრება მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით.

ლევან ჟორჟოლიანმა ასევე ისაუბრა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 201 წლის 19 ივლისის N2–1დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტით განსაზღვრული შემდეგი პროცედურული საკითხების შესახებ:

- რეგლამენტის 35–ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ფრაქცია რეგისტრაციამდე თავისი შემდგენლობიდან ირჩევს ფრაქციის თავმჯდომარეს, მე–2 პუნქტის თანახმად კი, საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარეს ჰყავს ფრაქციის ყოველ სამ წევრზე ერთი მოადგილე, მაგრამ არაუმეტეს შვიდისა, ხოლო, აღნიშნული მუხლის მე–3 პუნქტის მიხედვით, ფრაქციის რეგისტრაციისათვის, ფრაქციის შექმნიდან ერთი კვირის ვადაში ფრაქციის თავმჯდომარე მიმართავს საკრებულოს თავმჯდომარეს განცხადებით, რომელშიც მითითებულია ფრაქციის ოფიციალური სახელწოდება, მისი თავმჯდომარის, ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილის (მოადგილეების) და წევრთა ვინაობა. განცხადებას ერთვის ფრაქციის ყველა წევრის მიერ ხელმოწერილი წესდება. საკრებულოს თავმჯდომარე ფრაქციის რეგისტრაციისათვის შემოსულ მასალებს დაუყოვნებლივ გადასცემს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიას, რომელიც თავის დასკვნას წარუდგენს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომაზე. თუ ბიურო იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დასკვნის განხილვისას არ მიიღებს სხვა მოტივირებულ გადაწყვეტილებას, ფრაქცია რეგისტრაციაში გატარებულად ჩაითვლება საკრებულოს თავმჯდომარისათვის დოკუმენტაციის წარდგენის მომენტიდან.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად გადაწყვიტეს, რომ ფრაქციის რეგისტრაციისათვის, საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის-საკრებულოს-რეგლამენტით-დადგენილი-პროცედურული-წესი-დაცულია და საკითხი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ფრაქცია „ლელო – პარტნიორობა თბილისისთვის" რეგისტრაციაში გატარებულად ჩათვლის მიზნით.

მოისმინეს:

16. იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის თავმჯდომარემ ლევან ჟორჟოლიანმა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით - რიგით მე-16 ღონისძიებად განსაზღვრული, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2–1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტით გათვალისწინებული წესით, თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის – ლევან დოლიძის მიერ, პირადი განცხადების საფუძველზე, უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ საკითხი.

კომისიის თავმჯდომარის განმარტებით, მ/წლის 23 დეკემბერს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს, ამავე **საკრებულოს წევრის – ლევან დოლიძის მიერ წარედგინა N19/032135742-03 განცხადება,** სადაც აღნიშნული პირი პირადი განცხადების საფუძველზე იხსნის მისი, როგორც საკრებულოს წევრის უფლებამოსილებას, შესაბამისად ითხოვს აღნიშნული საკითხი უზრუნველყოფილ იქნას მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული პროცედურების დაცვით, ხოლო, წარმოდგენილი განცხადება, საკრებულოს თავმჯდომარის რეზოლუციით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით, დაეწერა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიას.

**კომისიის თავმჯდომარემ კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს შეახსენა,** რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24–ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.გ" ქვეპუნქტის საფუძველზე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებას, მისთვის ამავე ორგანული კანონით მინიჭებული უფლებამოსილების გარდა, ასევე განეკუთვნება, მუნიციპალიტეტის **საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღება,** ხოლო, ამავე ორგანული კანონის 43–ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, **მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ერთ–ერთი საფუძველია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ უფლებამოსილების პირადი განცხადებით მოხსნა.**

**გარდა საკითხთან დაკავშირებით გამოთქმული სამართლებრივი საფუძვლებისა, კომისიის თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ** „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2–1 დადგენილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის საკრებულოს რეგლამენტის მე–6 მუხლის მე–2 პუნქტის თანახმად,საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას საკრებულო იღებს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ხოლო, ამავე მუხლის მე–3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის თანახმად, საკრებულოს წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება თუ უფლებამოსილება პირადი განცხადებით მოიხსნა.

**მომხსენებელმა ასევე ისაუბრა რეგლამენტის მე–7 მუხლის მე–6 პუნქტით დადგენილ შემდეგ პროცედურაზე:** საკრებულოს წევრის მიერ უფლებამოსილების მოხსნის შესახებ წერილობითი განცხადება წარედგინება საკრებულოს თავმჯდომარეს, რომელიც დაუყოვნებლივ გადასცემს მას საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიას, კომისია ადგენს განცხადების ნამდვილობას, გარემოებას რომელიც დაედო საფუძვლად განცხადებას და შესაბამის დასკვნას წარუდგენს საკრებულოს. აღნიშნული ფაქტის შესახებ ინფორმაციას საკრებულო ცნობად იღებს და აფორმებს საკრებულოს სხდომის საოქმო ჩანაწერით.

გადაწყვიტეს:

**იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად გადაწყვიტეს, რომ** „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2–1 დადგენილებით დამტკიცებული **ქალაქ თბილისის საკრებულოს**

**რეგლამენტით გათვალისინებული პროცედურული წესი დაცულია** და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ ცნობად უნდა მიიღოს **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის** საკრებულოს **წევრის – ლევან დოლიძის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის** საკითხი.

**მოისმინეს:**

17. იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ **ლევან ჟორჟოლიანმა,** კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგის, რიგით **მე–17 ღონისძიებად განსაზღვრული,** ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრის შესახებ საკითხი, **საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მინიჭებული კომპეტენციის გათვალისწინებით.**

**კომისიის თავმჯდომარის განმარტებით,** მ/წლის 23 დეკემბერს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს №19/032135729-03 წერილით მიმართა ამავე საკრებულოს წევრმა საბა ბუაძემ ფრაქციის „ლელო - პარტნიორობა თბილისისთვის“ რეგისტრაციის საკითხთან დაკავშირებით, ხოლო, მითითებული განცხადება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **რეგლამენტით** განსაზღვრული სამართლებრივი პროცედურების უზრუნველყოფის მიზნით, შემდგომი რეაგირებისათვის, საკრებულოს თავმჯდომარის რეზოლუციით დაეწერა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიას.

**ლევან ჟორჟოლიანმა აღნიაშნა,** რომ საკრებულოს ფრაქციის „ლელო - პარტნიორობა თბილისისთვის“ შექმნა გავლენას ახდენს ფრაქციათა პროპორციულ წარმომადგენლობაზე, ვინაიდან, ახალშექმნილ ფრაქციას უნდა განესაზღვროს საკრებულოს კომისიებში მონაწილეობისთვის შესაბამისი კვოტა, **ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე** და **შემდეგი სამართლებრივი საფუძვლების** გათვალისწინებით, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის **კომისია** განსაზღვრავს **პროპორციული** წარმომადგენლობის **ახალ** კვოტებს:

- **საქართველოს ორგანული** კანონის **„ადგილობრივი** თვითმმართველობის **კოდექსის“ 28-ე** მუხლის **მე-2** პუნქტის **თანახმად,** მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციათა წარმომადგენლობისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს იმ წევრთა რაოდენობის პროპორციულად, რომლებიც გაერთიანებული არ არიან არცერთ ფრაქციაში. მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობასა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტებს განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისია ან შესაბამისი კომპეტენციის მქონე კომისია მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით და ამტკიცებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურო;

- ამავე მუხლის $2^1$ პუნქტის მიხედვით ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს

(მუნიციპალიტეტის საკრებულოს) მიერ მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციათა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების დამტკიცებიდან 3 დღის ვადაში ფრაქცია თავისი გადაწყვეტილებით წარადგენს კომისიაში წევრებს;

- **ხოლო, ასევე ამავე მუხლის 2[2] პუნქტის თანახმად,** მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიაში წევრის წარდგენის შესახებ მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის გადაწყვეტილება ეცნობება მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიას ან შესაბამისი კომპეტენციის მქონე კომისიას (მუნიციპალიტეტის საკრებულოს) და მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს. იურიდიულ საკითხთა კომისია ან შესაბამისი კომპეტენციის მქონე კომისია (მუნიციპალიტეტის საკრებულო) ამოწმებს ფრაქციის მიერ კომისიაში წევრის წარდგენის სისწორეს და საჭიროების შემთხვევაში ახდენს სათანადო რეაგირებას. ფრაქციის მიერ კომისიაში წარდგენილი წევრი კომისიაში დანიშნულად მიიჩნევა აღნიშნული ფაქტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს (მუნიციპალიტეტის საკრებულოს) მიერ ცნობად მიღების მომენტიდან. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, რომელიც გაერთიანებული არ არის არცერთ ფრაქციაში, კომისიის წევრი ხდება ამ პუნქტით დადგენილი წესით, პირადი განცხადების საფუძველზე.

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული **რეგლამენტის 36[1] მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით,** თუ საკრებულოს ფრაქციის შექმნის, გაუქმების, ფრაქციაში წევრთა შესვლის, ფრაქციიდან წევრთა გასვლის ან გარიცხვის შემთხვევაში ფრაქციაში განხორციელებული ცვლილებები გავლენას ახდენს ფრაქციათა პროპორციულ წარმომადგენლობაზე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისია განსაზღვრავს პროპორციული წარმომადგენლობის ახალ კვოტებს, ხოლო, ამავე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საკრებულოს ფრაქციებისთვის პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების გაზრდის შემთხვევაში საკრებულოს ორგანოებში ფრაქციის წარმომადგენლობის პერსონალურ საკითხებს წყვეტს შესაბამისი ფრაქცია.

- რეგლამენტის 49-ე მუხლის მე-2 პუნქტის ზ[1] ქვეპუნქტის თანახმად, **ბიურო ამტკიცებს საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ განსაზღვრულ და წარდგენილ საკრებულოს კომისიებში პროპორციული წარმომადგენლობის კვოტებს.**

**გადაწყვიტეს:**

**იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად განსაზღვრეს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს** რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებულ რეგლამენტით გათვალისწინებული წესის შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **კომისიის წევრთა** რაოდენობისა და **პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები და გადაწყვიტეს,** რომ

**აღნიშნული საკითხი დანართის სახით, დასამტკიცებლად წარედგინოს საკრებულოს ბიუროს, შემდეგი რედაქციით:**

- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში კომისიების წევრთა რაოდენობა (შემადგენლობა) განისაზღვროს 13 საკრებულოს წევრით, ხოლო საკრებულოს წევრთა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები საკრებულოს თითოეულ კომისიაში განისაზღვროს შემდეგნაირად:

1. ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ – 7 წევრი;
2. ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - 3 წევრი;
3. ფრაქცია „თბილისი საქართველოსთვის“ –1 წევრი;
4. ფრაქცია „ლელო - პარტნიორობა თბილისისთვის“ – 1 წევრი;

- საკრებულოს იმ წევრებს, რომლებიც გაწევრიანებულნი არ არიან არცერთ ფრაქციაში, თითოეულ კომისიაში წევრის წარსადგენად განესაზღვროთ 1 (ერთი) კვოტა - 1 წევრი.

**იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.**

**სხდომის თავმჯდომარე** **ლევან ჟორჟოლიანი**

**სხდომის მდივანი** **თამთა კაკოიშვილი**